პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК ■ ТК КП ГРУЗИИ ■ СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 251 (10948) | ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარნი

საბჭოთა კავშირის მშრომელები, აჯამებენ რა საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს, უსაზღვროდ ხარობენ ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვრებით, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით.

ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით მოამზადა და განახორციელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. საბოლოოდ დაემხო ჩვენში მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა. დამყარდა მუშათა კლასის დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა ხელისუფლება, ყველაზე დემოკრატიული წყობილება. ხალხი გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი, თავისი ბედის გამგებელი, შეგნებული ისტორიული შემოქმედი, ახალი ცხოვრების, სოციალიზმის, კომუნიზმის აქტიური მშენებელი.

დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები, სარგებლობდნენ რა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სამხედრო ჩამორჩენილობით, თავიანთ ნებასურვილს უკარნახებდნენ მას. რუსეთი ფაქტიურად წარმოადგენდა მათზე ყოველმხრივ დამოკიდებულ, ნახევრადკოლონიურ ქვეყანას, რომელსაც მოელოდა დამოუკიდებლობის დაკარგვა და კაბალური მონობა. დიდმა ოქტომბერმა იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული და ეკონომიური კატასტროფისაგან, დანაწილებისა და დაქუცმაცებისაგან, რასაც ცდილობდნენ იმპერიალისტი ყაჩაღები. საბჭოთა რევოლუციამ ქვეყანა გახადა თავისუფალი და დამოუკიდებელი. საბჭოთა კავშირი ახლა დიად მაგალითს უჩვენებს ყველა ქვეყნის ხალხებს, დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე. განსაკუთრებული ძალით იგრძნობა მისი გავლენა დედამიწის იმ ნაწილში, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს კაპიტალიზმი. ყოველივე ეს თვითეულ საბჭოთა ადამიანში იწვევს კანონიერი ეროვნული სიამაყის, პატრიოტიზმის მაღალ გრძნობას.

ასრულდა დიდი ლენინის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ სოციალისტური რევოლუცია, კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლების დამხობა გზას გაუხსნიდა საწარმოო ძალების უმაგალითო სწრაფ განვითარებას. პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უჩვეულო შემოქმედებითი შრომისათვის აღაფრთოვანა მშრომელთა მილიონები, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მოკლე დროში გადაიქცა ყველაზე მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის, მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. სოციალიზმის აშენება ჩვენი ხალხისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მთავარი შედეგია, უდიდესი მონაპოვარია. ჩვენი ქვეყანა ახლა ძლევამოსილად აშენებს კომუნიზმს, თავისი ეკონომიკის სწრაფი ზრდით სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რომელიც ახლა წარმატებით ხორციელდება, კიდევ უფრო მძლავრსა და უძლეველს გახდის ჩვენს სამშობლოს.

საბჭოთა კავშირმა მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიიღო კულტურული ჩამორჩენილობა. პარტიამ განახორციელა კულტურული რევოლუცია. ჩვენი ქვეყანა დაიფარა სკოლებით, უმაღლესი სასწავლებლებით, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით. მშრომელებს, ახალგაზრდობას გზა გაეხსნა სწავლისაკენ, ცოდნისაკენ. მშრომელთა უაღრესად ფართო ფენები ეზიარნენ მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას.

მთელ მსოფლიოს აოცებს საბჭოთა მეცნიერების მიღწევები. 1954 წელს პირველად საბჭოთა კავშირში ამუშავდა ატომის ელექტროსადგური. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი წარმატებაა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შექმნა. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფია.

საბჭოთა ხელისუფლების წლები ლიტერატურისა და ხელოვნების უმაგალითო აყვავების წლებია.

ოქტომბერმა მშრომელებს მოუტანა დიადი უფლებანი და თავისუფლებანი. შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება დიადი მონაპოვარნი არიან. წინათ ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. საბჭოთა მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში, სახელმწიფოს მართვაში. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში არჩეულია მილიონნახევარზე მეტი დეპუტატი. ყველა ისინი ქარხნების, საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები არიან.

პარტია ყოველდღიურად იბრძვის იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მოქალაქეთა უფლებანი, რომ ხალხთა მასები კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი შედეგია ქალთა სრული თანასწორობა მამაკაცებთან. თუ წინათ ქალი იყო ყველაზე მეტად დამცირებული, დაჩაგრული, შევიწროებული, ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული, საბჭოთა ქალები სავსებით გათანასწორებული არიან მამაკაცებთან, მხურვალე მონაწილეობას იღებენ კომუნიზმის მშენებლობაში. ჩვენი სახელოვანი ქალები არნახულ მაგალითებს გვიჩვენებენ შრომაში, სწავლაში, ბრძოლაში. პარტიამ მაღლა ასწია ქალის — დედის ღირსება.

ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი სერიოზული მონაპოვარია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. წინათ, მეფის რუსეთის ხალხებს შორის სუფევდა მტრობა, შუღლი, ურთიერთუნდობლობა, დევნა, შევიწროება, დამცირება და სხვ. არსებობდა ერთა დაყოფა სრულფასოვან და არასრულფასოვან ერებად, დიდ და პატარა ერებად. დიდმა საბჭოთა რევოლუციამ ბოლო მოუღო ერთა შორის ასეთ დამოკიდებულებას, განახორციელა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის დიადი იდეები. ერთ ძმურ ოჯახად შეკავშირებულია ყველა ერი და ეროვნება, განმტკიცდა მათ შორის ძმური თანამშრომლობა და მეგობრობა. პარტია, საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისათვის, რაც მათი შემდგომი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აყვავების საწინდარია.

ოქტომბრის ერთ-ერთი ბრწყინვალე მონაპოვარია ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ჩვენში დიდი ხანია აღარ არის ექსპლოატაცია, კრიზისები, უმუშევრობა, სიღატაკე, გაჭირვება და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სხვა მანკიერი მოვლენები. რევოლუციამ ჩვენს ხალხს მიანიჭა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები, არამედ მატერიალური სიკეთეც.

ოქტომბრის დიადი დროშით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს არნახული წარმატებანი პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა მძლავრად განვითარებული მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის ქვეყნად. ამ წარმატებას მიაღწია მან მოძმე დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით, უკრაინისა და სხვა მოძმე ხალხების დახმარებით. თავისი წარმატებებისათვის ქართველი ხალხი დიდად უმადლის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომლებიც დაუღალავად ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის.

ოქტომბრის დიადი მონაპოვრებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი დიდი დღესასწაულის დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება პარტიისა და მთავრობის გარშემო, ახალ-ახალ წარმატებებს მოიპოვებს კომუნიზმის მშენებლობაში.

ქ რ ო ნ ი კ ა

საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად, ამასთან დაკავშირებით არმიის გენერალი ი. ი. ფედიუნინსკი გაწვეულია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში.

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების ასოცი წლისთავი

საზეიმო სხდომა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში

22 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავს.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოების წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები. სცენის სიღრმეშია ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტი, მორთული ყვავილებით. ოქროსფრად ბრწყინავენ ციფრები „1837-1957“.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. მუსტაფაევი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ი. ი. ფედიუნინსკი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე. პრეზიდიუმში არიან ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები; რომლებიც ჩამოვიდნენ სახალხო ზეიმში მონაწილეობისათვის. მათ შორის არიან სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი გ. მარკოვი, მოსკოველი მწერლები ა. დემენტიევი, ა. ანტონოვსკაია, მ. ლუკონინი, ლენინგრადელი მწერალი ვ. ორლოვი, უკრაინელი მწერალი ო. გონჩარი, ბელორუსი მწერალი ა. ველიუგინი, ლატვიელი მწერალი კ. კრაულინი, ლიტველი მწერალი ა. ბალტრუნასი, თურქმენი მწერლები კ. სეითლიევი, კ. ტანგრიკულიევი, აზერბაიჯანელი პოეტი ა. ჯამილი, საქართველოს მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები.

საზეიმო სხდომას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ი. კუჭავა.

— დღეს ქართველი ხალხი, — ამბობს იგი, — ზეიმით აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის — უდიდესი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ახალი, რეალისტური ქართული ლიტერატურისა და ახალი ლიტერატურული ენის ფუძემდებლის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უაღრესად გამოჩენილი სულისჩამდგმელისა და მედროშის იუბილეს.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა ქართულ ლიტერატურაში გადაჭრით გაილაშქრა ფეოდალურ-პატრიარქალური, ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი სათავეში ჩაუდგა პროგრესულ-დემოკრატიულ ქართველ ინტელიგენციას, რაზმავდა ერის ჯანსაღ, ცხოველმყოფელ ძალებს, აღაფრთოვანებდა მათ ცხოვრების გარდაქმნისათვის თავდადებით საბრძოლველად, შთაგონებულად უმღეროდა ბრძოლას მსოფლიოს სოციალური განახლებისათვის.

თავის მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალ ეპოქას ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მრავალ სტატიაში ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის, ესთეტიკისა და ენათმეცნიერების, ისტორიისა და საერთაშორისო ცხოვრების საკითხებზე ი. ჭავჭავაძე ეხმაურებოდა თანამედროვეობის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენასა და აქტუალურ პრობლემებს, მათ აშუქებდა მოწინავე, პროგრესული პოზიციებიდან.

გულისწყრომით ამათრახებდა რა თავადაზნაურობის დეგრადაციას, ბურჟუაზიის პარაზიტიზმსა და ექსპლოატატორულ არსს, ილია ჭავჭავაძე განუსაზღვრელი სიყვარულით ხატავდა მშრომელი ხალხის მამაცი შვილების სახეებს. გამოხატავდა რა უბრალო ადამიანების მისწრაფებას, მას მტკიცედ სწამდა, რომ ახალი, მეოცე საუკუნის მთავარი მოწოდებაა ისეთი სოციალური წყობილების შექმნა, რომლის დროსაც აღარ იქნება კლასობრივი ბატონობა, აღარ იქნებიან მდიდრები და ღარიბები, რომლის დროსაც ყველა ადამიანი იცხოვრებს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ამბობს შემდეგ მ. ი. კუჭავა, განახორციელა ილია ჭავჭავაძის ოცნება. სამუდამოდ მოეღო ბოლო პოეტის მრავალტანჯული სამშობლოს ჩაგვრას, სამშობლოს, რომელიც ახლა ყვავის თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების ძმურ ოჯახში. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ ღირსეული ადგილი დაიკავა ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს სულიერ ფასეულობათა საერთო საგანძურში.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელოვანი კომუნისტური პარტია, იბრძვის კომუნისტური საზოგადოების აშენების იმ გრანდიოზული პროგრამის ძლევამოსილად განხორციელებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ შეიმუშავა. საბჭოთა ხალხი მიდის კაცობრიობის მთელი პროგრესული მშვიდობისმოყვარე ძალების ავანგარდში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება ამხ. კუჭავას სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელ ხალხს, საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას.

მოხსენება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა პოეტმა ი. აბაშიძემ.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედება, მთელი მისი სიცოცხლის მაგალითი, თავისი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მამაცური და მგზნებარე მებრძოლის მთელი სახე ცოცხალია და მარად იცოცხლებს მისი მადლიერი თანამემამულეების ხსოვნაში. ჩვენს დროში, როცა კომუნისტური პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და დაახლოების ისტორიაში უმაგალითო პროცესი, დიდი ქართველი მწერლის ქმნილებანი მრავალმილიონიანი საბჭოთა მკითხველის საკუთრება გახდა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. პოეტი და დრამატურგი, ბელეტრისტი და კრიტიკოსი, მეცნიერი და ისტორიკოსი, ამასთან ერთად იგი იყო ყველა იმ საზოგადოებრივ-კულტურული წამოწყების ინიციატორი და ხელმძღვანელი, რომლებიც სამსახურს უწევდნენ ხალხის გამოღვიძებას, მისთვის მებრძოლი, თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთების დანერგვის კეთილშობილურ საქმეს. ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეების იდეოლოგიის ნამდვილი გამომხატველი. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა თავისი სამშობლოს სოციალური განახლებისათვის ბრძოლას, იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ — პოლიტიკური შეხედულებისა და მისი შემოქმედების მთელ თავისებურებას განსაზღვრავს სწორედ რევოლუციურ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ამოცანების ეს უაღრესად მჭიდრო დაკავშირება, რომლებიც მთელი სიმაღლით აღიმართნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თაობის წინაშე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. მას ჰქონდა უნარი შეეხამებინა სოციალური ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანები, ისინი გადაეჭრა თავისი საერთო სოციალურ-განმათავისუფლებელი პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახასიათებდა რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მკაფიო ნიშნები.

მომხსენებელი დაწვრილებით ახასიათებს დიდი მწერლის შემოქმედებას. მისი ლირიკით, პოემებით და მოთხრობებით მკაფიო მხატვრული განხორციელება პოვეს ბატონყმობის ბორკილისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებმა. თავის ნაწარმოებებში მან გაბედულად აღიმაღლა ხმა დაჩაგრული გლეხობის დასაცავად, თავისი ნიჭის მთელი ძალით სამარცხვინო ბოძზე გააკრა ბატონყმური ჩაგვრა და თავადაზნაურული წოდების პარაზიტობა. შემოიტანა რა ლიტერატურაში ახალი თემები და სახეები, შექმნა რა პოლიტიკური ლირიკის მშვენიერი ნიმუშები, ილია ჭავჭავაძემ საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული ლიტერატურის რეალისტურ მიმართულებას.

მხურვალე სიყვარული მშრომელი ხალხისადმი მუდამ იყო ი. ჭავჭავაძის პოეტური შთაგონების წყარო. მას მტკიცედ სწამდა თავისი ხალხის ბედნიერი მომავალი.

ასრულდა ი. ჭავჭავაძის ოცნება. მისი საყვარელი სამშობლო, რომელსაც მოანდომა თავისი სიცოცხლე და შემოქმედება, აყვავებული, თავისუფალი ქვეყანა გახდა. მადლიერი ქართველი ხალხი სათუთად ინახავს მის მდიდარ მემკვიდრეობას. მისი ნაწარმოებნი უყვართ და იციან საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებმაც.

— დღეს ამ დარბაზში ჩვენი დიდი ილია ჭავჭავაძის იუბილეს, — ამბობს ი. აბაშიძე, — ესწრება ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხთა მრავალი წარმოგზავნილი. ბევრმა ჩვენი ძვირფასი სტუმრებიდან თვითონ ცოტა ღონისძიება როდი განახორციელა იმისათვის, რომ ქართველი მწერლის შემოქმედება სხვა ხალხთა კუთვნილება გაეხადა. ამით მკაფიო გამოვლინებას პოვებს საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი ძალა, კაცობრიობის ისტორიაში ხალხთა უმაგალითო მეგობრობა, რომელიც დიდმა ოქტომბერმა წარმოშვა.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანს გ. მარკოვს.

— ბედნიერი ვარ,—ამბობს იგი, — რომ წილად მხვდა გამოვიდე ამ საზეიმო სხდომაზე, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავს. ნება მიბოძეთ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და რუსეთის სფსრ საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მხურვალედ მივესალმო მოძმე ქართველ ხალხს.

ჩვენ, რუსი მწერლები, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოვთქვამთ ილია ჭავჭავაძის სახელს. ეს იმით აიხსნება, რომ მწერლის ნაწარმოებებში, რომელიც მამაცურად იბრძოდა თვითმპყრობელობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, გამოხატულება პოვეს მშრომელი ხალხის ფიქრებმა და მისწრაფებამ თავისი ბედნიერი მომავლისადმი. ი. ჭავჭავაძის ნათელი ხსოვნა განუყრელად დაკავშირებულია სამშობლოსადმი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობისადმი უსაზღვრო ერთგულებასთან. რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მსოფლმხედველობაზე აღზრდილი, იგი გახდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი.

ღრმა ისტორიული ფესვები და საუკუნეობრივი ტრადიციები აქვს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას. შორეულ წარსულში დაბადებულმა, მან თავის უმაღლეს აყვავებას მიაღწია ჩვენს დროში, როცა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის.

გ. მარკოვი თავისი სიტყვის დასასრულს ამბობს, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის სახელოვანი ტრადიციების ღირსეული განმგრძობნი არიან.

ტრიბუნაზეა უკრაინის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი ო. გონჩარი. იგი ამბობს:

— დიდი სახალხო დღესასწაულის დღეს მიიღეთ უკრაინის მწერლების, კულტურის მოღვაწეებისა და მთელი უკრაინელი ხალხის გულითადი ძმური სალამი. უკრაინა პატივს სცემს დიდი ქართველი მწერლის ხსოვნას. მისი უკვდავი ნაწარმოებნი დგანან რუსეთისა და უკრაინის დიდი მწერლების საუკეთესო ქმნილებათა ერთ რიგში.

დიდი ქართველი მწერალი ი. ჭავჭავაძე იყო არა მარტო თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, არამედ აგრეთვე ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი მქადაგებელი. ამიტომ მისი ხსოვნა ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანის გულისათვის.

— ნება მიბოძეთ, — ამბობს ო. გონჩარი, — მოგართვათ მცირე საჩუქარი — ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებნი უკრაინულ ენაზე.

გამოდის აფხაზეთის ასსრ მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელი ბ. შინკუბა. იგი ლაპარაკობს, რომ აფხაზი ხალხი პატივს სცემს დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის ხსოვნას, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით იბრძოდა მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის, ქართული კულტურის აყვავებისათვის. აფხაზურ ენაზე ნათარგმნი მისი ნაწარმოებნი საყვარელი და დიდად პოპულარულია მკითხველთა შორის.

ბ. შინკუბა ქართველ მწერლებს უძღვნის ბზის ხის წიგნს, რომელშიც ამოკვეთილია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მისალმების სიტყვები.

ილია ჭავჭავაძე, აღნიშნავს თავის გამოსვლაში ბელორუსი მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელი ა. ველიუგინი, ცოცხლობს საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა გულში. მათ უყვართ და აფასებენ დიდი მწერლის შესანიშნავ ნაწარმოებებს, მათში პოვებენ მეგობრობისა და ძმობის იდეებს, რომლებიც მახლობელია ყველა ხალხისათვის. ბელორუსი მკითხველი თავის დედაენაზე კითხულობს დიდი ქართველი მწერლის ნაწარმოებებს, ვისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც შევიდა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ლიტერატურის საგანძურში.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. დავითაძე. იგი ამბობს, რომ დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის იუბილეს დღესასწაული დაემთხვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადებას. ამ დღეებში საყვარელი მწერლის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად აჭარის საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა საზეიმო კრებები, რომელთა მონაწილენი დიდი პატივისცემის გრძნობით იგონებენ დიდ ქართველ მწერალ-პატრიოტს ი. ჭავჭავაძეს, რომელმაც ბევრი ძალა და ენერგია მოახმარა აჭარის აღორძინებისათვის ბრძოლას.

ამხ. დავითაძე საჩუქრად გადასცემს ბრინჯაოს ბარელიეფს, რომელზეც გამოსახულია ილია ჭავჭავაძის პორტრეტი.

გამოდის აჭარელი პოეტი ფ. ხალვაში. იგი გულშიჩამწვდომად კითხულობს ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსს.

— დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, — ამბობს აზერბაიჯანელი მწერალი ა. ჯამილი, — აღნიშნავს აზერბაიჯანელი ხალხი ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავს. ქართველი ხალხის დიდი შვილის, მგზნებარე პატრიოტისა და ხალხთა მეგობრობის იდეის ჭეშმარიტი დამცველის უკვდავი ქმნილებანი დიდი პოპულარობით სარგებლობენ აზერბაიჯანში. მხატვრული სიტყვის გამოჩენილმა ოსტატმა სწორუპოვარი ძალით ასახა თავის ნაწარმოებებში მშრომელთა უუფლებო მდგომარეობა, რაც გასაგებია წარსულში ყველა ჩაგრული ხალხისათვის, ასახა მემამულე ფეოდალების სოციალური უსამართლობის საშინელებანი.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, რევოლუციისა, რომელმაც ხალხებს მოუტანა ბედნიერი ცხოვრება, საბჭოთა მწერლები—კლასიკოსთა საუკეთესო ლიტერატურული ტრადიციების განმგრძობნი, ვალდებული არიან თავიანთ ნაწარმოებებში უფრო მკაფიოდ უმღერონ ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის მშენებლების წარმატებას.

— ილია ჭავჭავაძე იყო თავისი დროის დიდი პოეტი და მოქალაქე, — ამბობს თავის სიტყვაში მწერალი ა. ანტონოვსკაია.—მან თავისი სიცოცხლე მოანდომა თავისი ხალხის სამსახურს.

ილაპარაკა რა ი. ჭავჭავაძის სიცოცხლის პეტერბურგის პერიოდზე, ა. ანტონოვსკაიამ აღნიშნა, რომ სწორედ ამ წლებში შეითვისა მან თავისი საუკუნის მოწინავე იდეები, გაიმსჭვალა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ჰუმანური იდეალებით. ი. ჭავჭავაძე იყო რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის დაუღალავი დამცველი. აღსრულდა მისი ოცნება. ჩვენი ხალხები სამუდამოდ დაკავშირებული არიან ძმობის განუყრელი კავშირით.

ლატვიელი მწერალი კ. კრაულინი ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივისცემა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში წარმოადგენს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ძმური მეგობრობის კიდევ ერთ გამოვლინებას. დიდი ქართველი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით და ჰუმანიზმით, ახლობელი და ძვირფასია ლატვიელი ხალხისათვის. აღსრულდა ილია ჭავჭავაძის ოცნება ხალხთა მეგობრობაზე. ნამდვილი მეგობრობა აერთებს ამჟამად ლატვიისა და საქართველოს მშრომელებს. ამისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ორი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქების თბილისისა და რიგის მშრომელთა შეჯიბრება.

სიტყვა ეძლევა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დელეგაციის ხელმძღვანელს ფ. გაგლოევს. ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება, ამბობს იგი, წარმოადგენს თავისი ხალხის, თავისი სამშობლოსადმი სამსახურის მაგალითს. როგორც მხატვარი, ბრძენი მოაზროვნე, მებრძოლი, თავისი ხალხის სულიერი ბელადი, იგი ბევრ რამეს გვასწავლის ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, რომლებიც მოწოდებული ვართ ვიყოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწეები იდეოლოგიურ ბრძოლაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

სამხრეთ ოსეთის საუკეთესო მწერლები შთაგონებით მუშაობენ ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებაზე, ოსურ ენაზე თარგმნიან მის ნაწარმოებებს.

ფ. გაგლოევმა სიტყვა დაამთავრა და ძღვნად გადასცა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ერთტომეული ოსურ ენაზე.

გამოდის თურქმენი მწერალი კ. სეითლიევი. თავის სიტყვაში იგი აღნიშნავს, რომ დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის იუბილე სასიხარულო დღესასწაულია თურქმენი ხალხისათვისაც. ხალხთა ასეთი ჭეშმარიტი მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ანათებს დიდი ოქტომბრის მზე, სადაც გამარჯვებულია დიდი ლენინის იდეები.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, გამოჩენილი მოაზროვნისა და მგზნებარე პატრიოტის ი. ჭავჭავაძის სახელს დიდ პატივს სცემს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, რადგან მისი მრავალფეროვანი შემოქმედება გამსჭვალულია მშრომელი ხალხისადმი, თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით.

კ. სანტლიევმა ძღვნად მოიტანა ქართული პოეზიის გენიოსის შ. რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ თურქმენულ ენაზე.

სიტყვას ამბობს ლიტველი მწერალი ა. ბალტრუნასი.

— ლიტველი ხალხი დიდ პატივს სცემს დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის ძვირფას სახელს. მანძილი, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ჰყოფს თქვენი მზიური ქვეყნისაგან, ვერ გახდა იმის დაბრკოლება, რომ გაგვეგო ქართველი დემოკრატი მწერლის, ქართული მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ოსტატის ჰუმანური ფიქრების სიდიადე. ამ დღეებში ჩვენში, ლიტვაში, სულ უფრო ხშირად ისმის ილია ჭავჭავაძის სახელი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ქართველ ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ შესანიშნავი მწერლის დაბადების 120 წლისთავს.

ორატორი თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა ხალხების ლენინურ მეგობრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

ტრიბუნაზეა პოეტი ი. ნონეშვილი. იგი აღფრთოვანებით კითხულობს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი თავისი ლექსის მგზნებარე სტრიქონებს.

* * *

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით

ისტორიული სხდომა

1917 წლის შემოდგომაზე რევოლუციური აღმავლობა ყოველდღიურად იზრდებოდა, მასების აღშფოთება თავის მწვერვალს აღწევდა, ახლოვდებოდა კონტრრევოლუციური დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობის დღე.

ვ. ი. ლენინი, რომელიც იძულებული იყო ფინეთში დამალვოდა დროებითი მთავრობის დევნას, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს რევოლუციის ძლევამოსილ განვითარებას.

ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ღრმა მარქსისტული ანალიზის საფუძველზე გენიალურმა ლენინმა შეიმუშავა ჩვენი პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა სოციალისტურ რევოლუციაში. ვ. ი. ლენინს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა მის მუშაობას, წარმართავდა მთელ მის საქმიანობას.

უშუალოდ ოქტომბრის რევოლუციის წინ ვ. ი. ლენინმა მოგვცა ისეთი წერილები და შრომები, როგორიც არის „მარქსიზმი და აჯანყება", „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება", „კრიზისი მომწიფდა", „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?" და სხვა შრომები, რომლებშიც მოცემულია სოციალისტურ რევოლუციაში გამარჯვების ნათელი პროგრამა.

კონკრეტული ფაქტებისა და მდგომარეობის მარქსისტული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უკვე მომწიფდა საყოველთაო ეროვნული კრიზისი, შეიქმნა აუცილებელი პირობები შეიარაღებული აჯანყების წარმატებით ორგანიზაციისათვის ბურჟუაზიის ძალაუფლების დასამხობად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად.

სოციალისტური რევოლუციის გენიალურმა ბელადმა ლენინმა ზუსტად განსაზღვრა შეიარაღებული აჯანყების მომენტი და შეიმუშავა მისი განხორციელების კონკრეტული გეგმა. ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, ბოლშევიკური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი გაცხოველებით ამზადებდა რევოლუციის ძალებს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის პროლეტარული რევოლუციის გასამარჯვებლად.

პროლეტარული რევოლუციის მოახლოების გამო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფინეთიდან გამოიძახა ვ. ი. ლენინი, რათა ის უშუალოდ ჩასდგომოდა სათავეში დიად რევოლუციურ ბრძოლებს, ოქტომბრის აჯანყებას. ვ. ი. ლენინი არალეგალურად დაბრუნდა პეტროგრადში 7(20) ოქტომბერს და საცხოვრებლად აირჩია ყველაზე რევოლუციური რაიონი — ვიბორგის რაიონი.

10(23) ოქტომბერს საღამოს შედგა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომა, რომელმაც განიხილა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ სხდომას ესწრებოდნენ: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, მ. ს. ურიცკი და სხვ.

რუსეთის ბურჟუაზია გააფთრებული ცდილობდა რევოლუციის განადგურებას, დროებითი მთავრობა სასწრაფოდ ჰქმნიდა „ემკვრელ ბატალიონებს", ამზადებდა სხვადასხვა რაზმებს, ფრონტიდან ხსნიდა თავის ერთგულ ჯარის ნაწილებს და მათ თავს უყრიდა რევოლუციური პეტროგრადის გარშემო. ჯაშუშები და პროვოკატორები ყველგან დაძრწოდნენ და ეძებდნენ რევოლუციის ბელადს — ვ. ი. ლენინს, რათა ის შეეპყროთ, რევოლუციისათვის თავი მოეკვეთათ.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში მოეწყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 10(23) ოქტომბრის საიდუმლო სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) რუმინეთის ფრონტი; 2) ლიტველები; 3) მინსკი და ჩრდილოეთის ფრონტი; 4) მიმდინარე მომენტი; 5) საოლქო ყრილობა; 6) ჯარების გაყვანა.

ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი. მან მოგვცა საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, მთელი ძალით მიუთითა, რომ მდგომარეობა აჯანყებისათვის უკვე მომწიფდა.

ცენტრალური კომიტეტის ეს სხდომა დილამდე გაგრძელდა. სხდომამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება-უახლოეს დღეებში შეიარაღებული აჯანყების ჩატარების შესახებ. ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის მიერ, გარდა ზინოვიევისა და კამენევისა. ეს კაპიტულანტები არა მარტო წინააღმდეგნი იყვნენ გადაწყვეტილებისა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ, არამედ რამდენიმე დღის შემდეგ ჩაიდინეს გამცემლობა იმით, რომ მენშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც გაუმჟღავნეს დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას ცენტრალური კომიტეტის ეს საიდუმლო გადაწყვეტილება.

დიდი ლენინის მიერ შედგენილ და ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ამ ცნობილ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„ამრიგად ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებული აჯანყება გარდუვალია და სავსებით მომწიფებულია, და წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი (ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობისა, პიტერიდან ჯარების გაყვანისა, მოსკოველთა და მინსკელთა გამოსვლისა და სხვ.). (თხზ. ტ. 26, გვ. 217).

ვ. ი. ლენინმა თავის „წერილში ბოლშევიკების პარტიის წევრებისადმი" სასტიკად დაგმო გამცემლები ზინოვიევი და კამენევი, რომლებმაც რევოლუციის მოსისხლე მტერს ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას გაუმჟღავნეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. წერილში ვ. ი. ლენინი გამოთქვამს მტკიცე რწმენას რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

„ძნელი დროა. მძიმე ამოცანაა. მძიმე ღალატია.

ამოცანა კი მაინც გადაწყვეტილი იქნება, მუშები დაირაზმებიან, გლეხთა აჯანყება და ფრონტზე ჯარისკაცთა უკიდურესი მოუთმენლობა თავისას გაიტანს! უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ რიგები, — პროლეტარიატმა უნდა გაიმარჯვოს!" (თხზ. ტ. 26, გვ. 251).

ლენინის ეს ბრძნული სიტყვები რამდენიმე დღის შემდეგ, 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) აღსრულდა. რუსეთის მუშათა კლასმა ღარიბ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში წარმატებით განახორციელა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ძლევამოსილმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ბურჟუაზიულ-მემამულური ძალაუფლება, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, იმპერიალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა.

* * *

გუნიბელ მშრომელთა დელეგაცია საქართველოში

შვიდი დღე დაჰყო დუშეთის რაიონში დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაციამ. დაღისტნელი მეგობრები გულდასმით გაეცნენ მათთან შეჯიბრებაში ჩაბმული კოლმეურნეობების მუშაობას, წარმატებებს. ყველგან გულთბილი შეხვედრისას ხდებოდა გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

დუშეთში გაიმართა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. გუნიბელებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და ახალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ზოტიკაშვილმა. თათბირის მონაწილეებმა მიზანშეწონილად ცნეს კვლავ გაგრძელდეს შეჯიბრება გუნიბელებთან და დაიდოს ხელშეკრულება 1958 წლისათვის.

თავის სიტყვაში პარტიის გუნიბის რაიკომის მდივანმა მ. გაზილალიევმა თათბირს გააცნო გუნიბის რაიონის მშრომელთა წარმატებები და ახალი ვალდებულებები. მან დუშელ მეგობრებს საზეიმო ვითარებაში გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც გუნიბელებმა დააწესეს დუშეთის რაიონის მოწინავე ფერმისათვის, და ალბომი, რომელშიც ასახულია დუშელთა დელეგაციის ყოფნა გუნიბში.

— დიდია ჩვენი სიხარული, — თქვა კომკავშირის გუნიბის რაიკომის მეორე მდივანმა ფატიმათ რასულოვამ, — ასეთი მეგობრული გულთბილი მიღების გამო. ჩვენი რაიონის ახალგაზრდების გადაწყვეტილებაა შეჯიბრებაში ჩაება დუშეთის რაიონის ახალგაზრდობასთან და შეიმუშავა ვალდებულებებიც.

რაიონის ახალგაზრდობამ ეს გამოწვევა მიიღო. კომკავშირის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანმა უ. ბოძაშვილმა თათბირს გააცნო დუშელი ახალგაზრდობის ვალდებულებები.

სიტყვით გამოსულმა გუნიბის რაიონის სოფელ ჰოხის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავმა სალიმათ ახმედოვამ პირობა დადო წლის ბოლომდე თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღოს 3.000 კილოგრამი რძე; 9 თვეში მიღებული აქვს 2.564 კილოგრამი. მან კვლავ გამოიწვია დუშელი მწველავი ელენე პირმისაშვილი, რომელმაც მიიღო გამოწვევა და იკისრა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წელს მიიღოს 3.000 კილოგრამი რძე.

სიტყვები წარმოთქვეს და ახალი ვალდებულებები აიღეს გუდამაყრის, მაქართის, დუშეთის, ჭართლის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ნ. მეფურიშვილმა, ა. ქავთარაძემ, გ. პაპაშვილმა, შ. დანელიამ და სხვებმა.

თათბირზე საზეიმო ვითარებაში მოხდა 1958 წლისათვის ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

აღსანიშნავია, რომ მლეთის სასოფლო საბჭომ ახალი ვალდებულებები იკისრა და შეჯიბრებაში ჩაება გუნიბის რაიონის სოგრატლის სასოფლო საბჭოსთან. დუშეთის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ეკატერინე მოსიაშვილმა სტუმრებს გააცნო სკოლის კოლექტივის სურვილი — მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს გუნიბის საშუალო სკოლის კოლექტივთან.

დაღისტნელ მშრომელთა დელეგაციამ დაათვალიერა ქ. თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები. დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. ბერძენმა. გულთბილი საუბრის შემდეგ ამხ. ბერძენმა დელეგაციის ყველა წევრს საჩუქრად გადასცა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი".

ამ დღეებში დაღისტნელთა დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

* * *

სურათზე: ხელს აწერენ საქართველოს სსრ დუშეთის რაიონისა და დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას 1958 წლისათვის.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საზეიმო თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენციები

ქუთაისი. (საქ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში მოაწყო საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: დოცენტ ა. ებრალიძისა — „რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ეკონომიური და პოლიტიკური წანამძღვრები", რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივნის დ. მეგრელიშვილისა — „ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა", პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგის ბ. ფრუიძისა — „ვ. ი. ლენინი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადი", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბერძულისა—„საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის 1917-1921 წლებში", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ბინიაშვილისა — „რევოლუციური მოვლენები ქ. ქუთაისში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში", 21-ე საშუალო სკოლის დირექტორის ქ. ნადირაძისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა", პარტიის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ვ. ჯაველიძისა — „რა მისცა ოქტომბერმა საქართველოს მშრომელებს".

კონფერენციას ესწრებოდნენ პარტორგანიზაციათა მდივნები, პროპაგანდისტები, კონსულტანტები, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგები.

* * *

მახარაძე. (საქ. კორ.). თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა მოაწყეს გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა" (დოცენტი გ. გვინიანი), „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოძახილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში" (დოცენტი ო. გიგინეიშვილი), „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამიერკავკასია" (დოცენტი ა. სურგულაძე).

დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა

ბათუმი, 21 ოქტომბერი. (საქ. კორ.). აჭარაში დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. ამ სამუშაოს რაიონში პირველად შეუდგა ახალშენის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ლომაძე). აქ ოთხივე აგროგანყოფილებამ ერთ დღეს მოკრიფა და ჩაისუბნის შემფუთავ ქარხანას ჩააბარა 120 ათასი ცალი მანდარინი.

ციტრუსოვანთა ნაყოფი უხვად იკრიფება იმ აგროგანყოფილებებში, რომელთა ხელმძღვანელები არიან აგრონომები ე. აბულაძე, გ. დეკანოიძე, მუშები ვ. კუჭუხიძე, მ. ფუნდუკინი, ნ. სალმახინა, ქ. კალანდაძე ყოველდღიურად ნორმას ორმაგად ასრულებენ.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება 3 დღეში მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 1 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

მანდარინის მოსავლის აღება დაიწყო აგრეთვე მახინჯაურისა და ციხისძირის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობებში და ზოგიერთ კოლმეურნეობაში. აჭარელი მეციტრუსეები პირობას დებენ ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

*

ახალგაზრდების შრომითი საქმეები

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს თვალსაჩინო შრომითი წარმატებებით ეგებებიან ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდები. მიმდინარე წელს კომკავშირელებმა მოსავლელად ჩაიბარეს 13 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელიც გულდასმით დაამუშავეს, აგროტექნიკურ ვადებში შეიტანეს მინერალური სასუქები. ისინი დროზე შეუდგნენ კრეფას და სახელმწიფოს უკვე ჩააბარეს 15.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რითაც გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალება.

აღსანიშნავია კომკავშირელი კოლმეურნის ს. გოგინავას ენერგიული შრომა. მისი ვალდებულება იყო წელს მოეკრიფა 2.000 კილოგრამი ჩაი 0,5 ჰექტარ პლანტაციაზე. სინამდვილეში კი ოქტომბრისათვის მას მოკრეფილი ჰქონდა 2.600 კილოგრამი ფოთოლი. 2.400 კილოგრამი ჩაი აიღეს თავიანთ ნაკვეთებზე ახალგაზრდა მეჩაიეებმა მ. ბარკალაიამ, ვ. გოგინავამ და სხვებმა.

სიმინდის უხვ მოსავალს იღებენ მათთვის მიჩენილ ნაკვეთებზე ახალგაზრდა კოლმეურნეები ვაჟა და ილიკო გოგინავები. ასევე თვალსაჩინო წარმატებები აქვთ ახალგაზრდა მეცხოველეებს ბ. ხაბურზანიას, არ. გოგინავას, ვ. ბოლაშვილსა და სხვებს.

უშაფათელი კოლმეურნე ახალგაზრდობა ძალებს არ იშურებს იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მერი შამათავა,
ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

კერამიკოსებმა დაძლიეს ჩამორჩენა

წლების განმავლობაში თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი ჩამორჩენილთა რიგებში იყო. არ სრულდებოდა საწარმოო გეგმები, პროდუქცია უხარისხო გამოდიოდა, მაღალი იყო კერამიკულ ნაკეთობათა თვითღირებულება.

გასული წლის ბოლოდან კომბინატის კოლექტივმა შესამჩნევად გარდაქმნა მუშაობა. განსაკუთრებით გაუმჯობესდა მუშაობა წლის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც კომბინატის კოლექტივი საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება.

დიდი ყურადღება ეთმობა ახალი ტექნიკის დანერგვას. საამქროებში დადგმულია რამდენიმე ახალი, მაღალი წარმადობის მანქანა, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება. შეკეთდა აგრეთვე არსებული მოწყობილობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა შრომის ორგანიზაციის დარგში. მაგალითად, წინათ მაგიდების საამქროში ჩამოსხმას, ყალიბის გახსნას და ნაწარმის დამუშავებას ერთდროულად ორი კაცი ახდენდა. ახლა თვითეულ ამ პროცესზე გამოყოფილია თითო მუშა.

მუშაობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამომწველი უ. არჩვაძე, რომლის წინადადებით შეიცვალა ფილების გამოწვის პროცესი. ამ წინადადების დანერგვით წელიწადში სახელმწიფოს დაეზოგება 227 ათასი მანეთი.

კერამიკოსთა მთელი კოლექტივის მონდომებული მუშაობის შედეგად 9 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით — 125,1 პროცენტით იქნა შესრულებული, 17,8 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, სამჯერ და უფრო მეტად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

გ. კვაჭაძე,
თბილისის კერამიკული კომბინატის მასის დამამზადებელი.

*

მუხრანის ღვინის ქარხანაში გაცხარებული მუშაობაა. აქ ყოველდღიურად წარმოებს 30-40 ტონა ყურძნის გადამუშავება. ალიგოტესა და სხვა ჯიშების ყურძნისაგან მზადდება მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინოები. **სურათზე:** მუხრანის ღვინის ქარხნის ლაბორატორიის გამგე ნ. ქანთარია (მარცხნივ) და ლაბორანტი ქ. ყურაშვილი განსაზღვრავენ მაჭრის შაქრიანობას.

ფოტო გ. კიკვაძის და ს. ონანოვისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).

ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავის გამო

გამოჩენილი ქართველი მწერალი-დემოკრატი

ი. დოლიძე,
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

დიდი ქართველი დემოკრატი მწერლის, ფილოსოფოსისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის სახელი ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის. მთელი მისი შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მიმართული იყო ხალხის კეთილდღეობისაკენ, საყვარელი სამშობლოს აყვავებისაკენ.

ჭავჭავაძე იყო იდეური ბელადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიშალა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იგი გამოდიოდა როგორც უშიშარი მებრძოლი სიმართლისა და სამართლიანობისათვის. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".

მწერალი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როცა ბატონყმურმა წყობილებამ თავისი დრო მოჭამა. მან ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ლიტერატურაში გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ფეოდალურ-პატრიარქალურ წყობილებას. იგი ამხილებდა ბატონყმობის პარაზიტიზმსა და სიდამპლეს, მწვავედ ამათრახებდა ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის მტაცებლურ მისწრაფებას.

სტუდენტობის წლებში პეტერბურგში ი. ჭავჭავაძე ახლოს იყო ჩერნიშევსკისთან და მის „სოვრემენნიკთან". რევოლუციური დემოკრატიის ბელადების ბელინსკისა და ჩერნიშევსკის კეთილმყოფელი გავლენით ვითარდებოდა ი. ჭავჭავაძის სოციალური მრწამსი, მტკიცდებოდა მისი მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

ილია ჭავჭავაძე ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერალი იყო. იგი დიდად აფასებდა ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის მეგობრობას და თავის ნაწარმოებებში გვიჩვენებდა მის პროგრესულ მნიშვნელობას. მწერალი სავსებით სწორ შეფასებას აძლევდა საქართველოს შეერთებას რუსეთთან. „ამ ღირს-სახსოვარ დღიდამ, — წერდა იგი, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან".

იყო რა მეფის თვითმპყრობელობის შეურიგებელი მტერი და იბრძოდა რა მისი კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ჭავჭავაძე საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობას ზრდიდა დიდი რუსი ხალხისა და მისი მოწინავე კულტურისადმი ძმური სიყვარულის სულისკვეთებით.

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალ-ღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან", — წერდა ჭავჭავაძე.

პოემებში „აჩრდილი", „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", მოთხრობებში „გლახის ნაამბობი," „ოთარაანთ ქვრივი" და ბევრ სხვა ნაწარმოებში მწერალი გვიხატავს მისი თანამედროვე საქართველოს უაღრესად მართალ, სოციალურად გამახვილებულ სურათს. ჭავჭავაძის, როგორც დემოკრატი მწერლის, უდავო დამსახურება ის არის, რომ იგი არ შემოიფარგლა ბატონყმობის საშინელი წყლულების ჩვენებით, არამედ შექმნა სახეები უბრალო მშრომელი ადამიანებისა, რომლებიც გამოდიან თავიანთ დამმონებელთა წინააღმდეგ. როგორც ჭეშმარიტი რევოლუციური დემოკრატი, ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებებით ამტკიცებდა, რომ რეფორმის შემდეგ არსებითად არაფერი არ შეცვლილა და რომ ეს რეფორმა ხალხის მოტყუება, მისი ხზუჩად აგდება.

სატირული ხასიათის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?" მწერალმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ქართველი თავადაზნაურობა, შექმნა დიდი მხატვრული ძალით დაწერილი სახე უგულო, ყოყოჩა, ზარმაცი და უმეცარი მებატონისა, გვიჩვენა არისტოკრატიის განწირულება, მისი რეაქციული არსი.

ი. ჭავჭავაძის მაღალნიჭიერი შემოქმედება გამსჭვალულია ოპტიმიზმით, მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვების რწმენით. პოემაში „აჩრდილი" მან შთაგონებით უმღერა ხალხის ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. პოეტმა რწმენა გამოთქვა, რომ ბრძოლას მოიგებს აჯანყებული ხალხი, რომელიც მოსპობს მონობისა და ძალადობის ძველ სამყაროს.

„ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის
მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა
ბრძოლას"...

ხალხი მუდამ იყო ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გმირი, იმყოფებოდა მისი შემოქმედების ცენტრში. მან შექმნა მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა მაღალმხატვრული სახეების გალერია, ასახა მათი მდიდარი შინაგანი სამყარო, კეთილშობილება, ვაჟკაცობა და გულადობა. „ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, — წერდა იგი. — ერი არსადა სჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა სჩანს".

დიდია ი. ჭავჭავაძის შემოქმედების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მან მოახდინა მისი დემოკრატიზაცია, დაუახლოვა იგი ხალხის ცხოვრებას, ხალხის ენას.

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებანი პროგრესული, მატერიალისტურია. „დროა ხელოვნებამ — წერდა იგი — თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა", მთვარის ხვეწნასა, დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, დროა დავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის".

საპროგრამო ლექსში „პოეტი" იგი გამოთქვამს აზრს, რომ მგოსნის ნიჭი უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, რომ მგოსანი შემოქმედებას უნდა ეწეოდეს ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

უჩვეულოდ მრავალმხრივი და ნაყოფიერია ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის იყო მგზნებარე პროპაგანდისტი-პოლემისტი, ეწეოდა მწვავე იდეურ ბრძოლას ფეოდალურ-პატრიარქალური საქართველოს იდეოლოგებისა და დამცველების, ყველა ჯურის რეაქციონერების წინააღმდეგ. გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ჭავჭავაძე ულმობლად ესხმოდა თავს საქართველოს შინაურ და გარეშე მტრებს, ამხილებდა და დასცინოდა „ძველი დროის რაინდებს", კონსერვატორებს.

ი. ჭავჭავაძე იყო დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. თავის თანამებრძოლებსა და თანამოაზრეებთან ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ი. გოგებაშვილთან, გ. წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, კ. ლორთქიფანიძესთან და სხვებთან ერთად მან გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო, მშობლიური ქვეყნის პროგრესისათვის, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

მწერალი არა მარტო თავისი შემოქმედებით, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობითაც თავდადებულად იცავდა მშრომელთა ინტერესებს. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში იგი უშიშრად გმობდა რეაქციის თარეშს.

დიდი პატრიოტი მწერლის ნაწარმოებებში, ისევე როგორც იმდროინდელი სხვა მწერლებისა და მოაზროვნეების ნაწარმოებებში, არის ზოგიერთი წინააღმდეგობა და მცდარი აზრები. ზოგჯერ მისი სოციალური იდეალები უტოპიურია. ი. ჭავჭავაძე ვერ ამაღლდა რევოლუციური პროლეტარიატის შეგნებულობის, მეცნიერული სოციალიზმის თეორიის დონემდე. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე, როგორც თანმიმდევარი ქართველი „სამოციანელი", იყო ერთ-ერთი წინამორბედი ახალი რევოლუციური თაობისა საქართველოში.

ბუნებრივია, რომ დიდი პოეტის პროგრესული მოღვაწეობა არ მოსწონდა ცარიზმს. 1907 წელს ოხრანკის წაქეზებით იგი მზაკვრულად იქნა მოკლული.

დღეს, როცა საქართველოს მშრომელები დიდი საბჭოთა კავშირის ხალხების ძმურ ოჯახში განსაკუთრებული აღმავლობით ხვდებიან დიდი ოქტომბრის მეორმოცე წლისთავს, ჩვენ მადლობის გრძნობით ვიხსენებთ ი. ჭავჭავაძეს, გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც მონობისა და ძალადობის შავბნელ წლებში გაბედულად იმაღლებდა ხმას უსამართლობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს და სჯეროდა, რომ

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი"...

„პრავდა" 21. X.

ღირსსამახსოვრო საოქტომბრო საჩუქრად თბილისელებს

— დავამშვენოთ თბილისი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ზეიმის დღისათვის ახალი, კეთილმოწყობილი მაგისტრალით, დავამთავროთ საბჭოს ქუჩის ვიწრო უბნის გაფართოება საქალაქო ტრანსპორტის საოქტომბრო რეისებისათვის!

უკვე მეორე თვეა ასეთი ლოზუნგით მუშაობენ მშენებლები საბჭოს ქუჩის გასაფართოებლად. ექსკავატორების, ბულდოზერების, მექანიკური ბარების, თვითსაცლელების ორომტრიალში იბადება ახალი მაგისტრალი, ლენინის სამრეწველო რაიონის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელი მთავარი ქუჩა, სადაც ყველა სამუშაოს შესრულება — რკინიგზის მთავარი ვაგზლის სალიანდაგო ტერიტორიის გასწვრივ საყრდენი კედლის აგება, ძველი სახლების დანგრევა, აწმენდა და ახალი სახლების შელამაზება, ტრამვაის ლიანდაგის გადაადგილება, მიწისქვეშა კომუნიკაციების გაწყობა, საკანალიზაციო და სანიაღვრო თხრილების განახლება-გაფართოება, წყალსადენის ქსელის გადაკეთება, ქუჩის სავალი ნაწილისა და ტროტუარების მოასფალტება, ქუჩის ცალ მხარეზე ქვის პარაპეტის გაკეთება და ა. შ. ერთდროულად, კომპლექსურად წარმოებს.

მარტო თბილისის საქალაქო წყალსადენის ტრესტს ამ ქუჩის გასაფართოებლად 500.000 მანეთის მოცულობის სამუშაოები აქვს შესასრულებელი. საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტიდან მოსულმა მშენებლებმა საყრდენი კედლის ასაგებად სულ უნდა ჩაასხან 5.200 კუბმეტრი ბეტონი. ასევე დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოთა შესრულება უხდებათ თბილისის საგზაო მშენებლობის სამმართველოს, კანალტრესტის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, თელასის, კავშირგაბმულობის და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების მშენებლებს.

ქუჩის გასაფართოებლად დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საგზაო სამმართველოს კოლექტივი. გზათა მშენებლებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ის ჯგუფები, რომლებსაც სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი დ. ანტონოვი, სამუშაოთა მწარმოებლები ო. გოგიაშვილი, ბ. ფერაძე და ნ. ბებურიშვილი ხელმძღვანელობენ.

7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ზეიმის დღეს, ამ ქუჩაზე პირველად უნდა გაატარონ საზეიმოდ მორთული ტრამვაის მატარებლები, ავტობუსები, გზა გაუხსნან საქალაქო ტრანსპორტს საოქტომბრო რეისებისათვის. ამიტომ საჭიროა ქუჩის ის ყოფილი ვიწრო უბანი, რომელიც ფიროსმანის მოედნიდან ლენინის რაიონის თითქმის ცენტრამდე გრძელდება, 7 ნოემბერს დილით საზეიმო დემონსტრაციისათვის გამოსულ ლენინის რაიონის მშრომელებს გაფართოებული და კეთილმოწყობილი დახვდეს.

ზეიმის დღემდე დიდი დრო არ დარჩა, და ამიტომ ჩქარობენ მშენებლები, ერთმანეთს ეჯიბრებიან სამუშაოთა უსწრაფესად და საუკეთესო ხარისხით შესრულებაში. შეჯიბრებაში საუკეთესო მიღწევები აქვთ ქუჩის სავალი ნაწილის გამზადებაზე მომუშავე მშენებლებს პ. ელბაქიანს, ო. ოხანაშვილს, ი. ლეკიშვილს. მაღალი ტემპით და ბეჯითად მუშაობენ ის ბრიგადები, რომლებსაც თ. შაიკო და ვ. კოშაძე ხელმძღვანელობენ.

დიდი საყრდენი კედლის ასაგებად ჰიდროენერგომშენებლებმა თბილისში პირველად გამოიყენეს ასაწყობი რკინაბეტონის ფილები. საყრდენი კედელი შენდება რკინიგზის მთავარი ვაგზლის მთელი სალიანდაგო ტერიტორიის გაყოლებით საბჭოს ქუჩის მხრისაკენ. კედლის პროფილის მიხედვით აღმართულ ლითონის არმატურაზე ორივე მხრიდან ამაგრებენ ფილებს, მათ შორის ასხამენ ბეტონს, და ამრიგად საყრდენი კედელი მზად არის.

ამ მეთოდით საყრდენი კედლის მშენებლობის წარმოებით გაწეულია სულ ცოტა 300 კუბმეტრი ხე-ტყის მასალის ეკონომია, შრომატევადობა შემცირებულია სამჯერ, ამდენჯერვე შემცირებულია კედლის ასაგებად საჭირო დრო და ამაღლებულია შრომის ნაყოფიერება.

საყრდენი კედლის მშენებლობაზე საქალაქო ტრანსპორტის საოქტომბრო რეისებისათვის ქუჩის გასამზადებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ რ. ყარაგიოზოვის და ვ. კორიაგინის მებეტონეთა ბრიგადებს, არმატურის დამყენებლებს, რომლებსაც ე. ზაფიროვი ხელმძღვანელობს, ხუროთა ბრიგადებს, რომლებსაც ქ. მავრანგელოვი და ხ. მოსოვი ხელმძღვანელობენ, მემონტაჟეებს ხ. სანდლოვს და ვ. კამიშინს.

დიდად ემადლიერებიან მშენებლები მათ მომსახურე მექანიზატორებს: მებულდოზერე ნ. ბაქრაძეს, მეექსკავატორებს თ. ფურსას და ქ. კოლესიდის, მექანიკური ბარის მემანქანეს მ. ისაკოვს, ინჟინრებს — ა. დედაბრიშვილს, გ. ცეკვაშვილს, ვ. შერაზადაშვილს, მორიგე ზეინკლებს მ. პარუმოვს და გ. ბერეზოვსკის, ელექტრომემონტაჟე ტ. აგეევს.

მრავალი ასი მშენებელი მუშაობს ყოველდღიურად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის დამამშვენებელი ახალი მაგისტრალის გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის, საოქტომბრო ზეიმის დღეებისათვის ამ მაგისტრალით მოძრაობის გახსნისათვის.

ეს მაგისტრალი იქნება მნიშვნელოვანი სამახსოვრო საჩუქარი თბილისის მშრომელებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

დ. ლომთაძე.

• • •

სურათზე: საყრდენი კედლის მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) — მებეტონეთა ბრიგადირი რ. ყარაგიოზოვი, თვითსაცლელი ავტომანქანის მძღოლი დ. დოკიძე, სამუშაოთა მწარმოებელი გ. ცეკვაშვილი, მებეტონეთა ბრიგადირი ვ. სარიევი და ბულდოზერის მემანქანე ნ. ბაქრაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჩვენი წვლილი ბინათმშენებლობაში

დიდი ოქტომბრის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის გაცხოველებით ემზადებიან თბილისელი ბინათმშენებლები, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ სადღესასწაულოდ დაამთავრონ და მობინადრეთა შესასახლებლად გადასცენ ახალი საცხოვრებელი სახლები. მშენებლების მხარდამხარ იბრძვის „მთავართბილმშენის" მექანიზაციის სამმართველოს კოლექტივიც.

ამჟამად მთავართბილმშენის მექანიზაციის სამმართველოს განკარგულებაშია სხვადასხვა სისტემის 32 კოშკურა ამწე. მათ დამონტაჟებაზე მუშაობს 2 მემონტაჟეთა და ერთი მელიანდაგეთა ბრიგადა, რომლებსაც გამოცდილი ბრიგადირები ს. ისაევი, გ. ლაშხი და მ. მათითაშვილი ხელმძღვანელობენ. მემონტაჟეები 3-4 დღეში ახერხებენ კოშკურა ამწესათვის ლიანდაგის დაგებას და ამწეების დაშლა-აწყობას. ამას მემონტაჟეები აღწევენ მუშაობის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვით. მაგალითად, წინათ კოშკურა ამწის გადატანის დროს მთლიანად ვშლიდით ლიანდაგს, ცალცალკე გადაგვქონდა რელსები და შპალები. ახლა კი დემონტაჟის დროს ლიანდაგს ვშლით მხოლოდ რამდენიმე სექციად. თვითეული სექცია შედგება განსაზღვრული სიგრძის რელსებისაგან, რომლებზეც საჭირო რაოდენობით დამაგრებულია შპალები. ასეთი სექციის გადატანას და კვლავ აწყობას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება.

საუკეთესო შრომით წარმატებებს აღწევენ კოშკურა ამწის მემანქანეები ს. ქორიძე, ლეილა ჩიჩხიანი, ა. მახარაძე, ყ. ნარიმანიძე, ქეთო ბერუაშვილი, ბ. გორდაძე, ყ. დაგელოვი, ნატალია სოკოლოვა, ე. სიხარულიძე და ნ. კოზლოვი, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს.

ჩვენი სამმართველოს კოშკურა ამწეებს შეუძლიათ უკეთესად იმუშაონ, მაგრამ ხშირად ადგილი აქვს ამწეების მოცდენას ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების მოუმარაგებლობის გამო.

ნ. ჯაჭეიშვილი,
კოშკურა ამწეების სამუშაოთა მწარმოებელი.

დღესასწაულისათვის ემზადებიან

ფოთი. (საქ. კორ.). საწარმო-დაწესებულებები, სკოლები, კულტურის კერები გულმოდგინედ ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. საწარმოებში გამოკრული პლაკატები და ლოზუნგები მოუწოდებენ მშრომელებს ახალი მიღწევებით შეხვდნენ დღესასწაულს. ეწყობა საუბრები და მოხსენებები, იკითხება ოქტომბრის დღეებისადმი მიძღვნილი ლექციები.

ქალაქის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გამოფენილია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი სურათები, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტები, 40 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის მაჩვენებელი რუკები, დიაგრამები. საქალაქო კომიტეტის მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი ამხანაგები საწარმო-დაწესებულებებში, მოსახლეობაში და ახალმშენებლობებზე გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით.

დიადი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო კოლხიდის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში. რევოლუციური წარსულის, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მიღწევების ამსახველ გამოფენას მრავალი ახალი ექსპონატი და მასალა შეემატა. ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში იმართება საზეიმო შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან.

ამას წინათ ნავსადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ მეზღვაურთა კლუბში მოაწყო შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან. დამსწრეებს თავიანთ რევოლუციურ წარსულზე ესაუბრნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლნი ვ. ჯიჯეიშვილი, პ. ოგანეზოვი, დ. ფაჩულია და სხვები.

საქალაქო გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი" პერიოდულად ბეჭდავს საოქტომბრო მასალებს, ძველი ბოლშევიკების მოგონებებს, ფოთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მასალებს. სახელმწიფო დრამატული თეატრი, მეზღვაურთა და რკინიგზის კლუბები ამზადებენ რევოლუციური წარსულის ამსახველ სპექტაკლებს.

ტკბილეული საოქტომბროდ

ნაირ-ნაირი ასორტიმენტის კვების პროდუქტებს უშვებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს კვების მრეწველობის კომბინატი. კომბინატს აქვს რამდენიმე სახის წარმოება, რომელთა შორის აღსანიშნავია საკონდიტრო ნაწარმის, ხილის წვენების, კვების კონცენტრატების და სხვ. საწარმოები.

საკონდიტრო საამქრო ოქტომბრის დღესასწაულისათვის ამზადებს მრავალი სახის აღმოსავლურ ტკბილეულს — ნუგას, მოხალულ არახისსა და ნუშს, გოზინაყს, შაქარყინულს, რახათლუხუმს, შაქარლუხუმს, მრავალი სახის ნამცხვარს, ტორტს და სხვ. წელს სულ გამოშვებულია 400 ტონამდე საკონდიტრო ნაწარმი.

კვების კონცენტრატებიდან მზადდება მშრალი შაქრიანი და უშაქრო კისელი, სხვადასხვა ხილის — ვაშლის, მსხლისა და სხვ. ვიტამინიზებული ჟელე.

ხილის წვენის ქარხანა უშვებს ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ვაშლის, ალუბლის, მოცვის, მაყვლის წვენს. უკვე გადამუშავებულია დიდძალი ხილი, მიღებულია 29 მილიონი მანეთის პროდუქცია, რომლის უმეტესი ნაწილი გაიგზავნა სსრ კავშირის სხვადასხვა ადგილას, უკიდურეს ჩრდილოეთშიც კი.

ახლო მომავალში დაიწყება სუფთა ბროწეულის წვენისა და შინდის სიროპის გამოშვება, ჯემისა და ხილფაფის დამზადება. სხვადასხვა ხილისაგან გამოშვებულ იქნება მაგარი სასმელები — არაყი და ღვინოები.

კომბინატს წელს უნდა გამოეშვა 44 მილიონამდე მანეთის პროდუქცია. 9 თვეში უკვე გამოშვებულია 41 მილიონ მანეთზე მეტის საქონელი. ვარაუდობენ მეოთხე კვარტალში კიდევ დაამზადონ 14 მილიონი მანეთის პროდუქცია.

დამთავრდა ავტომოტოგადარბენა მოსკოვი — კუსტანაი — თბილისი

21 ოქტომბერს თბილისელები შეხვდნენ კუსტანაის ოლქში ყამირის მოსავლის აღების მონაწილეთა ჯგუფს, რომლებმაც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყეს ავტომოტოგადარბენა მოსკოვი-კუსტანაი-თბილისი. გზად ისინი იყვნენ საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, ეწვივნენ ვ. ი. ლენინის სამშობლო ქალაქ ულიანოვსკს, ქალაქ ყაზანს, სადაც სწავლობდა და რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო მშრომელთა დიდმა ბელადმა.

ლენინის მოედანზე გაიმართა მიტინგი. იგი გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. კაჭარავამ. ავტომოტოგადარბენის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი შ. აფციაური, თბილისის სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ესვანჯია.

მიტინგზე გამოვიდა ავტომოტოგადარბენის ხელმძღვანელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე, რომელმაც შეკრებილთ უამბო, თუ რა თავდადებით იმუშავეს საქართველოს წარგზავნილებმა მოსავლის აღებაზე ყაზახეთის ველებში. (საქდესი).

• • •

სურათზე: ავტომოტოგადარბენის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ გამოსცა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ა. თოფურიას საყურადღებო ნაშრომი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" (წიგნი პირველი), რომელიც განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

ეს შრომა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სისტემატური კურსის შექმნის პირველი ცდაა, რითაც ნაწილობრივ შეივსო ის ხარვეზები, რომელიც ამ დარგში სახელმძღვანელოს უქონლობის შედეგად არსებობდა. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი — ზოგადი (გვ. 5-113), რომელშიც ჩამოყალიბებულია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მთელი კურსის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, და მეორე — ლიტერატურული კითხვა (გვ. 114-356), რომელშიც ვრცლად არის გაშუქებული V-VII კლასებში ქართული ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი მეთოდიკურ-პრობლემატური საკითხები.

• • •

საქართველოს სამედიცინო გამომცემლობამ გამოსცა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ო. ბურჯანაძის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „მაობლიტერებელი ენდარტერიიტი". სარეცენზიო წიგნი ავტორის მიერ შვიდი წლის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებების შედეგს წარმოადგენს და შეიცავს თბილისის ორი მოწინავე ქირურგიული დაწესებულების — სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო და ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკების მდიდარ მასალას.

მაობლიტერებელი ენდარტერიიტი, რაც წინათ თვითნებური განგრენის სახელწოდებით იყო ცნობილი, საკმაოდ მძიმე დაავადებაა. მის სამკურნალოდ დღეისათვის 60-მდე მეთოდი არსებობს. ექიმმა ო. ბურჯანაძემ დიდძალი მასალის საფუძველზე შეძლო დაედგინა, რომ ამ საშუალებათა უმეტესობა თეორიულად მიუღებელი, პრაქტიკულად არაეფექტურია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი მავნეა. ამავე დროს ავტორმა შეიმუშავა მკურნალობის წესი, რომელიც გარკვეული უპირატესობით ხასიათდება.

შრომაში ცალკე თავი აქვს დათმობილი დაავადების კურორტული მკურნალობის საკითხს. ჩამოყალიბებულია კურორტული მკურნალობის ჩვენებები და უკუჩვენებები, რაც უკანასკნელ ხანებამდე არ იყო დადგენილი.

კარგი იქნება, თუ ო. ბურჯანაძის ეს ნაშრომი რუსულ ენაზეც გამოიცემა. თარგმნის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ქართული გამოცემის ნაკლოვანება, კერძოდ, ის, რომ ცალკეული საკითხები უფრო ვრცლად მოითხოვენ გაშუქებას.

ექიმ ო. ბურჯანაძის შრომა ქართული სამედიცინო ლიტერატურის კარგი შენაძენია.

ექიმი ქ. ჭელიძე.

საერთაშორისო მიმოხილვა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის წინ საერთაშორისო ასპარეზზე ღირსშესანიშნავი და დიდმნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. ჩვენი დროის ბევრი კერძო ფაქტი მკაფიოდ ადასტურებს დიდ ისტორიულ ცვლილებებს, რომლებიც დედამიწაზე მოხდა ორმოცი წლის განმავლობაში.

ასე მაღალი არასოდეს არ ყოფილა ავტორიტეტი სსრ კავშირისა, საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა, სახელმწიფოსი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა ააშენა სოციალიზმი. კაცობრიობა თვალნათლივ ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად იცავს საყოველთაო მშვიდობას, იცავს გაბედულად და მტკიცედ, ემყარება რა სოციალიზმის მთელი ბანაკის გაზრდილ მატერიალურ და მორალურ ძლიერებას. ყველა ქვეყანაში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხმა ამერიკელი ჟურნალისტის ჯ. რესტონის კითხვებზე. ადამიანებმა ამ პასუხში გაიგონეს მშვიდი მოწოდება მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, სინამდვილის რეალური შეფასებისაკენ. „ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, — წერდა ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო", — ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის პრესტიჟის შემდგომ ზრდას და კიდევ უფრო გააძლიერებს ხალხთა ბრძოლას მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში". კეთილი ნების ყველა ადამიანზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული და მტკიცე განცხადებანი, რომელთა მიზანია დარაზმონ ახლა მთელი ძალები მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ახლო აღმოსავლეთის რაიონში.

უდიდესი არა მარტო საშინაო, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ცნობებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და მეცნიერულ წარმატებათა შესახებ, ქვეყნისა, რომელშიც მთელი სამრეწველო პროდუქცია რევოლუციამდელ დროსთან შედარებით გაიზარდა 33-ჯერ, ხოლო მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა — 200-ჯერ! ისეთ შესანიშნავ მოვლენასთან შეხამებით, როგორიც არის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, ეს ციფრები მოწმობენ: აი როგორ იფურჩქნება ადამიანთა შემოქმედებითი ძალები სოციალისტური საზოგადოების პირობებში. გასაკვირველიც არ არის, რომ ჩვენი ქვეყნისადმი ისეთი მტრული ორგანო ამერიკის პრესისა, როგორიც არის გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი", განიხილავს რა შთაბეჭდილებებს დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების გამო, წერს: ამ ამბისადმი მთელი მსოფლიოს პრესის კომენტარებში მოჩანს „ნარევი პატივისცემით გამსჭვალული აღტაცებისა საბჭოთა მეცნიერული და ტექნიკური ორგანიზაციისადმი, საბჭოთა სამხედრო ძლიერების მნიშვნელოვანი ზრდის ბუნდოვანი შეგნებისა და ღვარძლიანი კმაყოფილებისა იმით, რომ ამჯერად შეერთებულ შტატებს აჯობეს".

„უოლ-სტრიტ ჯორნელის" აღიარება იმ უდავო ფაქტის არაპირდაპირი დადასტურებაა, რომ ამერიკის „ძალის პოზიციის პოლიტიკა" სულ უფრო არაპოპულარული ხდება და კრიზისს განიცდის. ამას მოწმობს უკანასკნელი კვირის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ამბები.

ამერიკის შეერთებული შტატების თვით მმართველი წრეები და მათი დასავლეთევროპელი თანამოაზრენი, უცხოეთის პრესის დამოწმებით, „შეძრწუნებული არიან" იუგოსლავიის ბრძნული გადაწყვეტილებით დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ეს აქტი ხომ მოწმობს იმას, რომ ჩაიფუშა „ატლანტიკის" დიპლომატიის ვარაუდი ადენაუერის იმ პრეტენზიების წარმატებისა, რომ იყოს გერმანელი ხალხის ბედის ერთადერთი გამგებელი. ვაშინგტონსა და ლონდონში ახლა „შიშობენ", რომ იუგოსლავიის მაგალითს მიბაძავს ბევრი სხვა სახელმწიფო. ამავე დროს, როგორც სწორად აღნიშნავს პოლონეთის „ტრიბუნა ლიუდუ" და მისი თანამოაზრე იუგოსლავიის გაზეთი „პოლიტიკა", დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იუგოსლავიას შორის სერიოზული წვლილია ევროპაში ურთიერთობის სტაბილიზაციის საქმეში. „ძალის პოზიციის პოლიტიკამ" მორიგი მარცხი განიცადა, როგორც განიცადა მარცხი ამ პოლიტიკის აპოლოგეტმა კანცლერმა ადენაუერმაც.

სულ უფრო მეტ გაკიცხვასა და აღშფოთებას იწვევს ამერიკის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. „ეიზენჰაუერის დოქტრინამ" ვერ მოუტანა ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერც სახელი, ვერც პრესტიჟი. მან კი არ გათიშა, არამედ კიდევაც გააერთიანა არაბთა სახელმწიფოები თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სევდიანად აღნიშნავს: „თვით ამერიკის მთავრობაშიც კი ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა შუა აღმოსავლეთში ჩიხში მოექცა".

მაგრამ საქმე მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთში „ძალის პოზიციის პოლიტიკის" პირდაპირი წარუმატებლობა როდია. მისი კრიზისი თვალნათლივ ჩანს საფრანგეთშიც, რომელიც მთავრობის მორიგ კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის გადაჭრას ცდილობენ ხელისუფლების გადაცემით პარლამენტის მემარჯვენე უმცირესობის ხელში, აგრეთვე საგანგებო დეკრეტებისა და ეროვნული კრების უფლებათა ნაწილობრივი ლიკვიდაციის გზით. მაგრამ წარმატების შემთხვევაშიც კი ეს ცდები ვერ გაამჯანსაღებენ მდგომარეობას საფრანგეთში. მართალია ინგლისის გაზეთი „სკოტსმენი", რომელიც წერს საფრანგეთის საქმეებზე: „საფრანგეთის ყველა პრობლემა შეიძლება გამოიხატოს ერთი პრობლემით — ალჟირის პრობლემით. თუ უახლოეს მომავალში არ მოხდა პოლიტიკური მოწესრიგება ალჟირში, საფრანგეთი კატასტროფის წინაშე იქნება". მაგრამ საფრანგეთის მმართველი წრეები ხომ უარყოფენ ალჟირის პრობლემის ერთადერთ შესაძლო, ესე იგი დემოკრატიულ გადაჭრას ალჟირის მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა აღიარების საფუძველზე. მათ ახლა აშკარად ამჯობინეს დაუპირისპირონ თავი არა მარტო ალჟირელ აჯანყებულებს, არამედ ფრანგ მშრომელებსაც, რომელთა გულისწყრომა ამ დღეებში გამოიხატა მასობრივი გაფიცვებით. საფრანგეთის ხალხს სურს სამი ყველაზე უბრალო რამ: ცხოვრების დონის ამაღლება, მტკიცე მშვიდობა, აღორძინებული გერმანული მილიტარიზმისაგან დაცვის უზრუნველყოფა. მაგრამ საფრანგეთის რეაქციისა და მისი ამერიკელი მფარველების პოლიტიკა სწორედ ის არის, რომ წაართვან საფრანგეთს პური, მშვიდობა და უშიშროება, მისცენ იგი უოლ-სტრიტისა და რურის მონოპოლიათა საძარცველად... განა ეს უიმედო ჩიხი არ არის? განა ეს არ მოწმობს „ძალის პოზიციის პოლიტიკის" ახალ ჩაფუშვას?

ამერიკის გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა" ამ უკანასკნელ დღეებში გახმაურებულ სტატიაში „რატომ უნდა გადადგეს დალესი" საკმაოდ მკვეთრი ფორმით შეაჯამა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მარცხები. თუმცა ამ გაზეთმა, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისს, პარტიისა, რომელიც იმდენადვე დამნაშავეა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში, როგორც რესპუბლიკური პარტია, ყველაფერი ამოწურა გამოხდომებით სახელმწიფო მდივნის პიროვნების წინააღმდეგ, — მის მრისხანე განცხადებებში ცოტა სიმართლე როდია. იგი წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა „ვერ აჯობა ჩვენს მოწინააღმდეგეებს: მან გამოიწვია ჩვენი რეალური და შესაძლო მოკავშირეების აღშფოთება. თუ მას ყველაზე კეთილშობილურ განზრახვებსაც კი მივაწერთ, სულ ერთია მისი მარცხი მთელ მსოფლიოში ჩანს... ახლა, ისე როგორც არასოდეს, ცხადია, რომ თავისუფალი (ესე იგი კაპიტალისტური. ბ. ლ.) სამყაროს დიპლომატია მოითხოვს ახალ მიდგომას, უფრო გულთბილ ხმას, უფრო პირდაპირ პოზიციას და უფრო მდიდარ წარმოსახვას..."

„ნიუ-იორკ პოსტის" სიტყვები ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება „ძალის პოზიციის პოლიტიკის" ჩაფუშვის, ამ პოლიტიკის უაზრობის, მისი უეფექტობის შეგნება. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკა მართლაც სულ უფრო დიდ ჩიხში ექცევა და არა აქვს პერსპექტივები. მან მსოფლიოში უფრო მეტი მტრები შეუქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვიდრე მეგობრები.

ამასთან ყველაზე შავბნელად გამოიყურება ამერიკის მმართველი წრეების მისწრაფება განაგრძონ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებისა და სამხედრო ავანტიურების გაჩაღების პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში.

სირიის წინააღმდეგ ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკებმა უკვე დიდი ხანია მიიპყრო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. ამ ბოლო დროს სავსებით ცხადი გახდა, რომ, ისწრაფვიან რა დაამყარონ ახლო და შუა აღმოსავლეთში „ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინით" გათვალისწინებული ამერიკული ბატონობა, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები მზად არიან გადადგან ისეთი ნაბიჯიც კი, როგორიც არის ომის გაჩაღება ამ რაიონში. სწორედ ამისათვის არის წამოწყებული ყველაზე საზიზღარი პროვოკაცია პატარა სირიის წინააღმდეგ.

კრახი განიცადეს რა იმის ცდამ, რომ სირიაში მოეხდინათ ანტიდემოკრატიული გადატრიალება, შეერთებული შტატები, როგორც ეს ნაჩვენებია საქდესის 18 ოქტომბრის განცხადებაში, ახლა პროვოკაციულად აწყობენ თურქეთის სამხედრო თავდასხმას სირიის სახელმწიფოზე. ამერიკიდან თურქეთში სასწრაფოდ მიაქვთ ახალი საავიაციო შეიარაღება. ამერიკის სამხედრო ხომალდები უახლოვდებიან სირიის ნაპირებს.

ამავე დროს, სურს რა მიაძინოს საზოგადოებრივი აზრი, ამერიკის პროპაგანდა ყოველნაირად ცდილობს ეჭვი დათესოს და უარყოს კიდეც, რომ სირიას ემუქრება თურქეთის სამხედრო თავდასხმის საფრთხე. უფრო მეტიც, ამერიკის მონოპოლიების მოსყიდული პრესა საქმეს ისე სახავს, თითქოს სწორედ სირია, და შესაძლოა საბჭოთა კავშირიც, ამზადებენ თავდასხმას უდანაშაულო თურქეთზე. ასეთი თავხედური „ცნობები" გამოაქვეყნა ამ დღეებში არა მარტო „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა", არამედ აგრეთვე პარიზის გაზეთმა „ეკომ".

მაგრამ ეს ფანტასტიკური მონაჭორები ვერავის ვერ მოატყუებს. სირიის რაიონში ომის ამერიკელ გამჩაღებელთა ხრიკები იმდენად ნათელია და საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის საშიში, რომ მათ გმობს ზოგიერთი ბურჟუაზიული გამოცემაც კი თურქეთში, კერძოდ ჟურნალი „აქისი". აღნიშნავს რა „ეიზენჰაუერის დოქტრინის მარცხს", ჟურნალი აცხადებს, რომ ამერიკის მუქარამ სირიის მიმართ საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია — მან დარაზმა სირიის გარშემო არაბთა ყველა სხვა ქვეყანა. მართლაც, არაბთა სამყარო მრისხანე პროტესტს აცხადებს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ხრიკების წინააღმდეგ, სირიის მიმართ ამერიკა-თურქეთის შეთქმულების წინააღმდეგ.

სირიის მხარეზეა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. მას სოლიდარობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირმა. ხალხთა ერთსულოვნება და დარაზმულობა მშვიდობის შენარჩუნებისა და ამერიკის მონოპოლიების პროვოკაციული ზრახვების ჩაფუშვის მძლავრი იარაღია.

ბ. ლეონტიევი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი ალბანეთში

ტირანა, 21 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში, განაგრძობს ამ ქვეყნის გაცნობას. ალბანელი ხალხი უაღრესად გულითად შეხვედრას უწყობს საბჭოთა სტუმარს. ყველგან მოჩანს ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ ალბანეთის გულითადი მეგობრობის გრძნობებს საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხისადმი. გ. კ. ჟუკოვსა და მის თანმხლებ პირებს ხვდებიან ყვავილებით, მეგობრული მისალმებით.

ალბანეთის გაზეთები ბეჭდავენ ვრცელ ცნობებს გ. კ. ჟუკოვის შეხვედრების შესახებ მოსახლეობასთან.

ჩვენს ხალხს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მარშალ გ. კ. ჟუკოვის ვიზიტი მიაჩნია დიდ პატივად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და სსრ კავშირის მთავრობამ გაგვიწიეს, წერს გაზეთი „ზაშქიმი". ამხ. ჟუკოვის სახით ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მსოფლიო იხსნეს ფაშისტური ტირანიისაგან და ახლა ფხიზლად დგანან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე. ამხ. გ. კ. ჟუკოვის ვიზიტი, განაგრძობს გაზეთი, გამოხატავს საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და პატივისცემას ჩვენი ხალხისადმი.

გაზეთ „ლუფთეთარის" გ. კ. ჟუკოვის ვიზიტი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში მიაჩნია დიდ წვლილად ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების საქმეში, საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შეკავშირების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს განცხადება

დელი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს სიტყვა წარმოთქვა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა სირიის გარშემო შექმნილი მდგომარეობის საკითხს, და განაცხადა, რომ „არაბთა ნაციონალიზმი ბაღდადის პაქტზე გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა".

თუმცა ბაღდადის პაქტმა, თქვა ნერუმ, უთანხმოება გამოიწვია არაბთა ქვეყნებს შორის, მაგრამ ამ მომენტში, როცა საფრთხე მოევლინა სირიას, არაბთა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ მზად არიან გაერთიანებულად იბრძოლონ.

ნერუს აზრით, თურქეთ-სირიის საზღვარზე კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე „შემცირდა" იმასთან დაკავშირებით, რომ სირიის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა „საჩივარი იმ საფრთხის გამო, რომელიც სირიის უშიშროებასა და საერთაშორისო მშვიდობას მოელის".

პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა იმ მოთხოვნას, რომ შეწყდეს იარაღის მიწოდება რომელიც უნდა იყოს ქვეყნისათვის, და აღნიშნა, რომ „დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის შექმნის შედეგად... ახლა მოძველებულია სამხედრო კავშირები".

შეკითხვაზე ინდოეთის იმ პოლიტიკის შესახებ, რომ არ შეუერთდეს რომელიმე ბლოკს, ნერუმ უპასუხა: ეს გონივრული პოლიტიკაა, რომელიც უნდა განახორციელოს ინდოეთის ყოველმა მთავრობამ. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს ინდოეთის პოლიტიკას და ინდოეთი არ გადაუხვევს ამ გზას.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა

კაირო, 21 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა. სხდომაში მონაწილეობას იღებენ 22 ქვეყნის — ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, იორდანიის, ერაყის, ბირმის, ინდოეთის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კამბოჯის, ინდონეზიის, ცეილონის, ავღანეთის, ტაილანდის, იაპონიის, თურქეთის, მაროკოს, ტუნისისა და ალჟირის წარმომადგენლები. მოელიან აგრეთვე აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა ჩამოსვლას.

სხდომა გახსნა ეგვიპტის მოსამზადებელი კომიტეტის მეთაურმა „მუსლიმანთა კონგრესის" გენერალურმა მდივანმა ანვარ სადათმა. ინდოეთის წარმომადგენლის წინადადებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ანვარ სადათი. ინდოეთის წარმომადგენელი ანაპ სინგჰი და იაპონიის წარმომადგენელი სუნაო სონოდა აირჩიეს ვიცე-თავმჯდომარეებად.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს დელეგაციათა ხელმძღვანელებმა.

პრეზიდენტის არჩევნები გვატემალაში

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ გვატემალაში გაიმართა რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევნები მოკლული კასტილიო არმასის ნაცვლად.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ გვატემალიდან იტყობინება, არჩევნების დღეს ქალაქის ქუჩებში პატრულობდნენ მთავრობის ჯავშნიანი მანქანები. არჩევნების წინ მთავრობამ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ იგი უაღრესად მკაცრ ღონისძიებებს მიიღებს „ძირგამომთხრელი მოქმედების" ცდების წინააღმდეგ.

წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 500 ათასმა კაცმა. არჩევნების შედეგები ცნობილი არ არის.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). მთავრობის კრიზისი საფრანგეთში სულ უფრო გაჭიანურებულ ხასიათს იღებს. მას შემდეგ, რაც მემარჯვენე პარტიის — „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა" ლიდერმა ანტუან პინემ მარცხი განიცადა საფრანგეთის ახალი მთავრობის შედგენის საქმეში, რესპუბლიკის პრეზიდენტმა მთავრობის კრიზისის გადასაჭრელად ღონისძიების განხორციელება სთხოვა კათოლიკური პარტიის — „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს რობერ შუმანს.

შუმანმა უწინარეს ყოვლისა კონსულტაცია მოაწყო მთელ რიგ უმაღლეს მოხელე-ფინანსისტებთან, მათ შორის საფრანგეთის ბანკის დირექტორთან ბაუმგარტნერთან, აგრეთვე გაიართან — ფინანსთა მინისტრთან ბურჟეს-მონურის მთავრობაში, რომელიც დროებით ასრულებს თავის მოვალეობას.

ყურადღება, რასაც ფინანსურ პრობლემებს უთმობენ მთავრობის კრიზისის გადაჭრის დროს, აიხსნება საფრანგეთის ახლანდელი დიდი ეკონომიური სიძნელეებით. მთავრობა, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ვერ დაუბრუნებს საფრანგეთის ბანკს 15 ნოემბრისათვის 50 მილიარდ ფრანკს, რაც სესხად არის აღებული 3 თვის ვადით. უკეთესად არც უცხოური ვალუტის საქმეა: მთავრობის განკარგულებაშია მხოლოდ 60 მილიონი დოლარი, რაც არ აღემატება საფრანგეთის თვიურ დეფიციტს ევროპის საგადამხდელო კავშირში.

საფრანგეთის ეკონომიურ სიძნელეებს, როგორც პრესა აღიარებს, საფუძვლად უდევს სამხედრო ხარჯები. მიმდინარე წელს სამხედრო მასალების იმპორტისათვის დახარჯება 90 მილიარდი ფრანკი, ნაცვლად გასული წლის 60 მილიარდი ფრანკისა. ალჟირში კოლონიური ომის საწარმოებლად კი 1957 წელს ასიგნებულია დაახლოებით 700 მილიარდი ფრანკი. ამავე დროს, როგორც მეწარმეთა წრეების ორგანო გაზეთი „ეკო" აღნიშნავს, „სამხედრო ხარჯების ტემპი სულ უფრო იზრდება".

დღეს, მთავრობის კრიზისის 22-ე დღეს, რობერ შუმანმა რესპუბლიკის პრეზიდენტს განუცხადა, რომ უარს ამბობს ახალი მთავრობის შედგენაზე იმის გამო, რომ სხვადასხვა პარტიებს შორის უთანხმოებაა ფინანსურ-ეკონომიურ საკითხებში.

პრეზიდენტმა რენე კოტიმ განაახლა პოლიტიკური კონსულტაციები ახალი მთავრობის შედგენის საკითხზე.

დემოკრატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფინანსური ჩიხიდან გამოსასვლელად საჭიროა უწინარეს ყოვლისა ბოლო მოეღოს ომს ალჟირში.

მთავრობის კრიზისის გადაჭრის დროს, წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე", ჩვენ ვაწყდებით „პრობლემას, რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვა პრობლემას, — ეს არის ომი ალჟირში".

ლიბან-საუდის კომუნიკე

ბეირუთი, 21 ოქტომბერი. (საქდესი). ლიბანში პრეზიდენტ შამუნსა და ოფიციალური ვიზიტით აქ მყოფ მეფე საუდს შორის მოლაპარაკების შედეგად გამოქვეყნდა ლიბან-საუდის კომუნიკე, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა და მეფემ დაადასტურეს თავიანთი სრული სოლიდარობა არაბთა ყველა ქვეყნისადმი და სირიის ან არაბთა სხვა ქვეყნის წინააღმდეგ ყოველგვარი აგრესია მიაჩნიათ თვით მათ წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად.

„მხარეებს მიაჩნიათ, რომ არაბთა ქვეყნების დამოუკიდებლობის პატივისცემა, მათი სუვერენიტეტისა და უშიშროების შენარჩუნება, მათს საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობა შუა აღმოსავლეთში უშიშროების განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მთავარი ფაქტორებია".

გუშინ საუდის არაბეთის მეფე საუდი ბეირუთიდან რიადში გაფრინდა.

რადიო- და ტელეგადაცემათა პროგრამები

დაიწყო გამოსვლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო კომიტეტის პერიოდული გამოცემისა — რადიო- და ტელეგადაცემათა პროგრამები „ლაპარაკობს თბილისი".

პირველ ნომერში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, გამოქვეყნებულია საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამები 20-დან 26 ოქტომბრამდე, აგრეთვე ტელეგადაცემათა პროგრამები. ნომერი ტექნიკურად კარგად არის გაფორმებული, მასში გამოქვეყნებულია მთელი რიგი ფოტოილუსტრაციები.

მოკლე სარედაქციო წინასიტყვაობაში რედაქცია აღნიშნავს, რომ „რადიო- და ტელეგადაცემათა პროგრამები ხელს შეუწყობს ჩვენს მსმენელებს წინასწარ გაითვალისწინონ მათთვის საინტერესო გადაცემები". უდავოა, რომ რადიო- და ტელეგადაცემათა პროგრამების ძირითადი და უპირველესი მოვალეობა მხოლოდ ეს არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სპეციალური რადიოპერიოდიკის უქონლობას ჩვენში, კარგი იქნება, თუ მის ფურცლებზე რეგულარულად გამოქვეყნდება საკონსულტაციო ხასიათის მოკლე ინფორმაციული შენიშვნები რადიოგადაცემების ტექნიკურ საკითხებზე, ჩვენი რადიომრეწველობის მიღწევებზე ახალი რადიომიმღებების, ტელევიზორებისა და მაგნიტოფონების გამოშვების საქმეში და სხვ. (ისე როგორც ამას რუსული „რადიოპროგრამები" აკეთებს). სასურველია მოკლე ცნობები იმ კომპოზიტორებზე, მომღერლებზე თუ მწერლებზე, რომელთადმი მიძღვნილი იქნება მუსიკალური, ლიტერატურული რადიო- და ტელეგადაცემები. ამ მხრივ პირველ ნომერშიც გვხვდება ინფორმაციები, მაგალითად: რადიოგადაცემათა მიღების ხარისხზე, კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილზე და სხვ., მაგრამ საჭიროა ასეთ შენიშვნებს შემდეგ ნომრებში სისტემატური ხასიათი მიეცეს.

დ. გველესიანი.

კეთილშობილური მოქმედება

ამ დღეებში ტაქსის მძღოლმა ირაკლი ალექსანდრეს-ძე კალატოზიშვილმა მგზავრები სადგურზე მიიყვანა. უკან დაბრუნებისას მან მანქანის ფანჯარაზე ქაღალდში გახვეული ხელჩანთა შეამჩნია. როცა გახსნა, შიგ 78.000 მანეთი აღმოჩნდა. მძღოლი სწრაფად დაბრუნდა სადგურზე, მაგრამ დაზარალებული ვერ აღმოაჩინა.

კალატოზიშვილი თავის გარაჟში წავიდა, ნაპოვნის შესახებ განუცხადა პარტიული ორგანიზაციის მდივანს და ფული სადისპეტჩერო განყოფილებას ჩააბარა.

განყოფილების მუშაკებმა მოძებნეს დაზარალებული და დაკარგული ფული დაუბრუნეს.

მძღოლ კალატოზიშვილის კეთილშობილური მოქმედება მისაბაძია.

შ. ჯანუაშვილი.

სოფელში გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა

ამას წინათ გურჯაანის რაიონის კულტურის განყოფილებამ ველისციხეში გახსნა საბავშვო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკარები მ. შალაშვილი და ს. არღუთინსკი ზრუნავენ ახალი საბავშვო ლიტერატურის შეძენაზე, გამოწერილი აქვთ 20 სახის ჟურნალ-გაზეთები.

საბავშვო ბიბლიოთეკა ძვირფასი საჩუქარია ველისციხელ მოსწავლეთათვის.

ევროპის თასზე და პირველობაზე

პარიზში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟთა შორის. გარდამავალი ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოდნენ სსრ კავშირის, საფრანგეთის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. გაიმარჯვა ესპანელმა ტანმოვარჯიშემ ბლიუმემ. წინა შეჯიბრებაში გამარჯვებულს და თასის მფლობელს ბ. შახლინს (სსრ კავშირი) ავადმყოფობის გამო ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღია.

აქვე მოეწყო ევროპის პირველობის გათამაშება ტანვარჯიშული ექსპედიის ყველა სახეობაში. ბჯენით ხტომებში ოქროს მედალი მოიპოვა ი. ტიტოვმა (სსრ კავშირი).

★

რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 წლისთავი. ქ. ცხაკაიას რკინიგზის № 26 სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ი. ჭავჭავაძის პოემის „კაკო ყაჩაღის" ინსცენირება. სცენად მათ გამოიყენეს ბუნება, რომელიც მიახლოებულია პოემაში აღწერილ ადგილმდებარეობასთან. სურათზე: ცხაკაიას რკინიგზის სკოლის მეთერთმეტეკლასელები ჯ. ლაშქარავა და ჯ. ხუნწარია ზაქროსა და მეურმის როლში.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

★

მეორასე ტელეგადაცემა

ჩვენი საუკუნის საოცარმა მიღწევამ — ტელეტექნიკამ და ტელეხელოვნებამ სინამდვილედ აქცია წინაპართა ოცნება და შინ მყოფთ ტელემიმღების ეკრანებზე დაგვანახვა ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ისე გვესაუბრებიან, თითქოს ჩვენგან ათეული კილომეტრით კი არ იყვნენ დაშორებული, არამედ აგერ, იმ პატარა ეკრანის მიღმა იყვნენ.

უახლოეს რამდენიმე წელიწადში ჩვენს დედაქალაქს შეემატება კიდევ ერთი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა: რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტსა და ზოოპარკს შუა მდებარე ტერიტორიაზე დამთავრდება, რადიოსახლისა და სატელევიზიო სტუდიის კომპლექსური ნაგებობის მშენებლობა. შენობას ექნება რამდენიმე საგადაცემო სტუდია, რომელთაგან ერთი იქნება 600 კვადრატული მეტრის ფართობისა.

როგორც ცნობილია, ამჟამად მუშაობს ტელეცენტრის მხოლოდ პირველი რიგი — პატარა საგადაცემო სტუდიითა და კინო-სააპარატოთი. ეს კი მნიშვნელოვნად ზღუდავს ტელესტუდიის შესაძლებლობებს. ამჟამად გადაცემები ეწყობა ფუნიკულორზე, ტელეცენტრის შენობაში არსებული სტუდიიდან, რომელიც გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ პროგრამის გამოსაცხადებლად და კინოსურათების საჩვენებლად. მიუხედავად ამისა, მაყურებელმა ტელეეკრანზე ნახა ნაწყვეტები ცალკეული სპექტაკლებიდან, მცირე ფორმის საკუთარი დადგმები და თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულ საბჭოთა და უცხოელ შემოქმედთა კონცერტები. ბევრს ალბათ ახსოვს სტუდიის მიერ განხორციელებული საკუთარი ტელედადგმები — ნ. ლორთქიფანიძის „ბებრები", პუშკინის „მოცარტი და სალიერი", რუბინშტეინის ოპერა „დემონი", ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი" და საბავშვო დადგმა „მუსიკის ჯადოსნური დოქტორი დო რე-მი".

მიმდინარე წლის 25 აგვისტოს მაყურებელმა კმაყოფილებით ნახა თბილისის დინამოს სტადიონიდან მოძრავი სატელევიზიო სადგურის მეშვეობით გადმოცემული ფეხბურთის მატჩი. ტელემაყურებელმა ნახა აგრეთვე საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის კონცერტის ტრანსლაცია ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან, რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ეზოში ავი ძაღლია" და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წარმოდგენა „ხეები ზეზეულად კვდებიან". 20 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო ცირკიდან მოწყობილი საცდელი გადაცემა დაემთხვა მეორასე გადაცემას. გუშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან მოეწყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოს ტელეტრანსლაცია.

ტელესტუდიის შემოქმედებითს კოლექტივს მომავალში განზრახული აქვს კვლავაც განახორციელოს და მაყურებელს უჩვენოს მცირეფორმიანი საკუთარი დადგმები. მაგრამ დადგმების მომზადებასა და გადაცემას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სატელევიზიო სტუდიის ამ ახალგაზრდულ კოლექტივს არა აქვს საკუთარი თეატრალური ინვენტარი. ამ მხრივ კი დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ თბილისის თეატრებისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" კოლექტივებს. მათს სამეურნეო ქონებაში ბევრია ისეთი ნივთი, რომელიც ამჟამად არ ესაჭიროებათ. მაგალითად, თეატრალური კოსტიუმები, პარიკები, მცირე ზომის მოცულობითი და მსუბუქი დეკორაციები, ავეჯი, რეკვიზიტი, ბუტაფორია, მხატვრული განათების ელექტროაპარატურა და სხვ. ამჟამად სატელევიზიო სტუდიას არა აქვს დადგმების მხატვრული გაფორმების დამამზადებელი საწარმოო სახელოსნოების სათავსები და არა ჰყავს სპეციალისტი ხელოსნები. სასურველია როგორც კინოსტუდიამ, ისე თეატრებმა მიიღონ სატელევიზიო სტუდიის დაკვეთები და დროულად შეუსრულონ მას მხატვრული გაფორმების დეტალები. კარგი იქნება, თუ ყველა საჭირო მასალითა და ინვენტარით სისტემატურად მოგვამარაგებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრალური მომარაგების სამმართველო.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სატელევიზიო სტუდიასა და ტელეცენტრს თავიანთ შემოქმედებითს და შრომით საქმიანობაში, რასაკვირველია, აქვთ გარკვეული ნაკლოვანებანი, რაც ნათლად ვლინდება გადაცემებში. ჩვენი პერიოდული პრესა სისტემატურად აშუქებს ტელესტუდიის მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერცერთმა საკუთარმა სატელევიზიო დადგმამ ჩვენი პრესის ფურცლებზე ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება და შეფასება (თუ არ ჩავთვლით ერთადერთ სარეცენზიო წერილს „მოცარტსა და სალიერიზე", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" 1957 წლის № 6-ში). სარეცენზიო წერილები და მაყურებელთა შენიშვნები დიდ დახმარებას გაუწევს ტელესტუდიისა და ტელეცენტრის ახალგაზრდა კოლექტივებს მათს მომავალ მუშაობაში, მით უმეტეს, რომ მომავალი წლის 1 იანვრიდან ერთიორად გაიზრდება გადაცემათა რაოდენობა.

გ. ძნელაძე,
თბილისის სატელევიზიო სტუდიის სადადგმო ნაწილის გამგე.

რედაქტორის მოადგილე რ. ქურციკიძე.

გრიპი და მასთან ბრძოლა

გრიპი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ზოგჯერ ფართო ეპიდემიურ ხასიათს იღებს.

მიმდინარე წლის დასაწყისში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში იფეთქა გრიპის ეპიდემიამ, რომელიც სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. თბილისში გრიპი ფართოდ გავრცელდა სექტემბრიდან.

ამჟამად გავრცელებული გრიპის გამომწვევი მიზეზია გრიპის ვირუსის ახალი სახესხვაობა, რომელიც პირობითად აღინიშნება „აზია-57" ან A_2.

ისევე როგორც მიკრობის ყოველი ახალი სახეობის მიმართ, ამ ვირუსის მიმართაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ არის აღჭურვილი სათანადო იმუნიტეტით, რითაც აიხსნება გრიპის ასეთი სწრაფი გავრცელება მსოფლიოში.

გრიპით დაავადებული ადამიანი დახველების, ცხვირის დაცემინების, ხმამაღლა ლაპარაკის დროს გამოყოფს ნერწყვისა და ლორწოს უმცირეს ნაწილაკებს, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ გრიპის გამომწვევ ვირუსს. ისინი იფანტებიან ავადმყოფიდან დაახლოებით 1-1,5 მეტრ მანძილზე. ჰაერთან ერთად მათი ჩასუნთქვა ჯანმრთელი ადამიანის გრიპით დაავადებას იწვევს.

ავადმყოფობა, როგორც წესი, იწყება უეცრად. ადამიანს შეაცივებს, აქვს თავის ძლიერი ტკივილი, მაღალი სიცხე, გრძნობს ტკივილებს სახსრებსა და კუნთებში და სხვ. გარდა ამისა, ავადმყოფს აწუხებს უძილობა და ოფლიანობა. სურდო, ხმის ჩახლეჩა და ხველა ავადმყოფობას უფრო ხშირად დაერთვის 12-24 საათის შემდეგ, ზოგჯერ კი საერთოდ არ აღინიშნება.

არის შემთხვევები, როდესაც გრიპი მიმდინარეობს მძიმედ. მას შეიძლება დაერთოს მთელი რიგი გართულებანი: ფილტვების ანთება, პლევრიტი, ჰაიმორიტი და სხვ. შესაძლოა გრიპმა გამოიწვიოს ისეთ ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, როგორიც არის ფილტვების ტუბერკულოზი, გულისა და სხვა შინაგანი ორგანოების დაავადებანი და სხვ.

დაავადება გრძელდება 4-7 დღეს, რის შემდეგ ავადმყოფი იწყებს გამოჯანმრთელებას, თუმცა დაავადების გადატანის შემდეგ საკმაო დროის განმავლობაში აღინიშნება საერთო სისუსტე და შრომის უნარის დაქვეითება.

ამჟამად თბილისში გავრცელებული გრიპი ხასიათდება შედარებით მოკლე ხანგრძლივობით და დაავადების საშუალო სიმძიმით. იგი უმეტეს შემთხვევაში გართულებებს არ იწვევს.

ვირუსულ გრიპს დაავადების ნიშნების მიხედვით ძალიან წააგავს სასუნთქი გზების მწვავე კატარი, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია სხეულის გაციებასთან. ამიტომ ოქტომბერში თბილისში გრიპის გავრცელებას დაემთხვა აგრეთვე სასუნთქი გზების მწვავე კატარით დაავადება, რაც სიცივეების მოულოდნელად დაწყების შედეგია.

ვირუსული გრიპისაგან განსხვავებით სასუნთქი გზების მწვავე კატარი იწყება თანდათანობით, უფრო იოლად მიმდინარეობს და დაავადების სურათში სჭარბობს კატარული მოვლენები: სურდო, ფარინგიტი, ლარინგიტი და სხვ.

გრიპით დაავადების შემთხვევაში სასწრაფოდ გამოძახებულ უნდა იქნას ექიმი. ყოვლად დაუშვებელია ავადმყოფის მისვლა პოლიკლინიკა-კონსულტაციაში, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ამას შეუძლია ზიანი მოუტანოს თვით ავადმყოფის ჯანმრთელობას, ამით ხელი ეწყობა გრიპის გავრცელებას მოსახლეობაში.

დაავადების მთელი პერიოდის განმავლობაში ავადმყოფი უნდა იწვეს ლოგინში. ამ პირობის შესრულებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ გართულებანი. სამკურნალოდ იხმარება გრიპის საწინააღმდეგო შრატი, აკრიხინი, ეკმოლინი, კუტიზონი და მრავალი სხვა საშუალება. წამლის მიღება შეიძლება მხოლოდ ექიმის რჩევა-დარიგებით.

ავადმყოფობის დროს უნდა ვერიდოთ თამბაქოს მოწევას, არ შეიძლება სპირტიანი სასმელებისა და ცხარე საჭმლის მიღება.

საჭიროა ავადმყოფს ბინაში გამოეყოს ცალკე ოთახი, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მისი საწოლი უნდა გამოვაცალკევოთ ფარდის საშუალებით.

ცხვირის დაცემინების ან ხველების დროს ავადმყოფმა სახეზე უნდა მიიფაროს ცხვირსახოცი. აუცილებელია ავადმყოფის მომვლელებმა პირზე აიფარონ დოლბანდი.

ავადმყოფს ცალკე უნდა გამოვუყოთ მისთვის საჭირო საგნები: ჭურჭელი, პირსახოცი, საფურთხებელი. ავადმყოფის საცვლები და ჭურჭელი საჭიროა გაირეცხოს ცხელ წყალში საპნით, ჭურჭელს გაუკეთდეს დეზინფექცია ქლორამინით.

მნახველების სიარული ავადმყოფთან დაუშვებელია.

გრიპის გამომწვევი ვირუსი გარემოში არამდგრადი თვისებით ხასიათდება, რის გამო იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში იღუპება მზის სხივებისა და სადეზინფექციო ხსნარების მოქმედების შედეგად. ამიტომ ავადმყოფის ოთახის ჰაერი ხშირად უნდა ნიავდებოდეს, ხოლო საგნები და იატაკი იწმინდებოდეს ქლორიანი კირის (2-3 სუფრის კოვზი ქლორიანი კირი ერთ ვედრო წყალზე) ან ქლორამინის ხსნარში დასველებული ჩვრით.

გრიპის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნის თვით მოსახლეობას. მოსახლეობა უნდა დაეხმაროს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ავადმყოფების დროულად გამოვლინებასა და იზოლაციაში.

საწარმო-დაწესებულებებში საჭიროა დავიცვათ საზოგადოებრივი ჰიგიენის ელემენტარული წესები — სისუფთავე, შენობის ჰაერის ხშირი განიავება, იატაკის მორეცხვა ან მოწმენდა ქლორიანი კირის ხსნარით. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მოსახლეობამ უნდა დააწესოს მკაცრი კონტროლი საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში სისუფთავის დაცვაზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება გრიპის გავრცელების საწინააღმდეგოდ მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ. პოლიკლინიკა-კონსულტაციებში რიგების შემცირებისა და ავადმყოფთა ბინაზე დროული მომსახურების მიზნით გადიდდა ექიმებისა და მათი თანაშემწეების რიცხვი. გაძლიერებულია ღამის გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება. ზოგიერთი აფთიაქი გადაყვანილია სადღეღამისო მუშაობაზე, მიღებულია ზომები აფთიაქების უზრუნველსაყოფად სათანადო მედიკამენტებით.

ფაბრიკა-ქარხნებში, აგრეთვე სტუდენტთა და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებში გამოყოფილია იზოლატორები გრიპით დაავადებულთათვის.

თანამედროვე მედიცინას გააჩნია საკმაო საშუალებანი იმისათვის, რომ გადაუღობოს გზა გრიპის ეპიდემიას და მით გამოწვეულ შედეგებს, მაგრამ გრიპთან ბრძოლის ეფექტი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სიზუსტით შეასრულებს მოსახლეობა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ რეკომენდებულ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებსა და მითითებებს.

ვ. ზაქარიაძე,
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

გ. ნადარაია,
თბილისის მთავარი ეპიდემიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი
ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს
შ. მილორავა
საყვარელი დისშვილი
პარასკევს, 25 ოქტომბერს
შ. აზმაიფარაშვილი
ნანატრი საქმრო
შაბათს, 26 ოქტომბერს
ა. კერესელიძე
სამი პატარძალი
კვირას, 27 ოქტომბერს
დღისით
ა. კერესელიძე
სამი პატარძალი
საღამოს
დ. არაყიშვილი
დინარა
წარმოდგენების დასაწყისი დღისით 12 საათზე, საღამოს — 8 საათზე.

თბილისის „დინამოს" სტადიონი
25 და 26 ოქტომბერს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„ა" კლასის გუნდებს შორის
„დინამო"
(კიევი) —
„დინამო"
(თბილისი)
25 ოქტომბერს — დუბლიორთა შემადგენლობა
26 ოქტომბერს — ძირითადი შემადგენლობა
თამაშის დასაწყისი 3 საათზე.
ბილეთების წინასწარ გაყიდვა აბონემენტებზე და ორგანიზაციებზე წარმოებს მხოლოდ 23 და 24 ოქტომბერს დღის 12 საათზე კიროვის სახელობის პარკის და საზაფხულო საცურაო აუზის სალაროებში. დარჩენილი ბილეთები გაიყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში 25 ოქტომბერს დილის 10 საათიდან.

თბილისის სახელმწიფო ცირკი
24 ოქტომბრიდან
პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის
ცირკის მსახიობთა გასტროლები
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
კვირაობით დღის 2 საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I-12 ს., II-3 ს.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
სალაროები ღიაა დღის 12 საათიდან, კვირაობით — დილის 10 საათიდან.

მოქალაქე ბიძინა ერასტის-ძე ბალანჩივაძემ, მცხოვრებმა დუშეთის ქ. № 7, აღძრა საქმე ფოთის ქ. № 25 მცხოვრებ მოქალაქე ფატმან ლეონტის ასულ ბებიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ოთარ დავითის-ძე ნიკოლაშვილმა მცხოვრებმა გელათის ქ. № 5, აღძრა საქმე შაუმიანის ქ. № 53 მცხოვრებ მოქალაქე ლარისა ფილიპეს ასულ კრავჩენკოსთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ვარა, შვილი ლამარა ჯავახიშვილი, დები ლოლა პარკაძე, მათიკო, ქეთევან, ელისაბედ გარსევანიშვილები, სიძე ლ. ჯანდიერი ოჯახებით იუწყებიან
ნიკოლოზ გიორგის-ძე ქარუმიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-X, 8 ს. გამოსვენება 24-X, 4 ს. ბარნოვის ქ. № 73.

თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტის
შალვა ვასილის-ძე გეტაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24-X, 4 ს. საბჭოს ქ. № 80.

ზესტაფონის მეორე საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის, ინჟინერ
ნოდარ გრიგოლის-ძე სისორდიას
გარდაცვალებას.

მეუღლე ალექსანდრა, შვილები გიორგი, ვალერიან, ვლადიმერ, კლარა, ალექსანდრა, შურა ოჯახებით იუწყებიან
მალაქია გრიგოლის-ძე ცხადაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-X, 6 ს. ზუგდიდში, გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 56.

მეუღლე ანა, შვილები ემზურ, რომენ, დიულია, რძალი მატრონე ოჯახებით იუწყებიან
ნიკოლოზ ალმასხანის-ძე ტოროშელიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-X, 7 ს. გამოსვენება 24-X, 4 ს. ნ. ნიკოლაძის ქ. № 1.

დედა ერიკა, მეუღლე თამარ, შვილი რუსუდან, და ლუსია ნათესავებით იუწყებიან
ბორის მიხეილის-ძე დავრიშევის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-X, 7 ს. გამოსვენება 24-X, 4 ს. კრწანისის ქ. № 74.

„საქმინხილწყლების" ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან
ანა დიმიტრის ასულ ხაინდრავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-X, 8 ს. გამოსვენება 24-X, 4 ს. პრესის ქ. № 23.

შვილები ვარლამ, ტარასი, რძლები თალიკო, თამარ ოჯახებით იუწყებიან
მატრონე გიორგის ასულ ყურავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-X სოფელ მარანში (აბაშის რ.).

მეუღლე არჩილ, შვილები დავით, ელგუჯა, ცისანა, ძმა ტარიელ, რძალი ელენე, სიძე შ. დარახველიძე ოჯახებით იუწყებიან
სოფიო დაუშვილი-გოგლიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-X, 8 ს. გამოსვენება 24-X, 5 ს. ატენის ქ. № 7.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67. სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03540

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.